სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხოსროშვილი

● №5 (4604) ● 15 ივნისი ● 2022 წელი ● ● ● saxgani@gmail.com ● ფასი 1.50 ლარი

გილოცავთ სასწავლო წლის დამთავრებას!

ჩვენი სტუმარი: 106-ე საჯარო სკოლა

გამოთხოვება პირველ მასწავლებელთან

სწავლის დამთავრებას ყველგან ახლავს ჯადოსნური ხიბლი. დიდია სიხარული მშობლიური ბუდიდან აფრენისა, კლასიდან კლასში გადასვლისა, არდადეგების დაწყებისა. **ბარათაშვილი** იტყოდა: **„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“.** დიახ, ასეა! მეოთხეკლასელს მთელი ცხოვრება გაჰყვება პირველი მასწავლებლის სიყვარული, პირველი მასწავლებლისა, ვინც „შეაყვარა ანი-ბანი, შეასწავლა დედაენა, თავს ევლება, ფრთებს უსწორებს, რომ თამამად შეძლონ ფრენა“.

არც პირველი მასწავლებელი რჩება „ზარალის“ გარეშე: როგორი საქმეა, ოთხი წელიწადი ელოლიავები, დედასავით ზრდი და ერთ მშვენიერ დღეს სხვის ბუდეში, ე. ი. მეხუთე კლასში გადასკუპდებიან.

პირველი მასწავლებლის განცდებს კარგად გამოხატავს ერთი პოეტის მშვენიერი ლექსი: „გაფრინდა ქეთოს მერცხალი, აღარ ჭიკჭიკებს ბანზედა, ქეთო კი მოწყენილი ზის, ცრემლი უელავს თვალზედა“.

ასეთი განწყობილება სუფევდა სასწავლო წლის დასასრულს თბილისის 106-ე საჯარო სკოლაში. ეს განცდები, შთაბეჭდილებები, ფიქრები მოხდენილად არის გადმოცემული ამავე სკოლის დაწყებითების პადაგოგის **ინა მეცხვარიშვილის** წერილში, რომელსაც აქვე გთავაზობთ. მანამდე კი უნდა ვთქვათ: ვერცერთი სკოლა ვერ იამაყებს და თავს მოიწონებს დაწყებით განათლებაზე ზრუნვა-თავდადებით ისე, როგორც აქ დირექტორს ბატონ **თენგიზ გულორდავას** და მის ბრწყინვალე პედაგოგებს შეუძლიათ.

რედაქტორი

* * *

განცდები, შთაბეჭდილებები, სამომავლო ფიქრები

თბილისის 106-ე საჯარო სკოლას თავისი ისტორია გააჩნია, როგორც ყველაფერს ამ სამყაროში. ბოლო შვიდი წელია, რაც სკოლა უწყვეტი წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობის ხანას გადის. სკოლის ხელმძღვანელის, ბატონი **თენგიზ გულორდავას** დევიზია: „თუ ბედავ სწავლებას, თავადაც არასოდეს შეწყვიტო სწავლა“ და სასკოლო ატმოსფეროც ასეთი ტრიალებს ასმეექვსეს კედლებში. ბოლო 7 წელია, რაც სკოლა 7 პარალელურ პირველ კლასს ხსნის. მრავალფეროვანი სასწავლო გარემო, რომელსაც ქმნის მაღალკვალიფიციური პედაგოგთა გუნდი სკოლის ხელმძღვანელთან ერთად, მშობელთა ნდობას იმსახურებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლა, თავის რეგიონში, ძალიან მოთხოვნადი გახდა და სახელი გაითქვა ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლებით, როგორიცაა:

უსაფრთხო გარემო;

სკოლის პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური კადრები.

მოსწავლეთა მაღალი აკადემიური შედეგები და მიღწევები არაფორმალური განათლების კუთხით;

მოსწავლეთა მამოტივირებელი აქტივობები, მათ შორის გამორჩეულია სკოლის ხელმძღვანელის, ბატონი თენგიზ გულორდავას მიერ შემოტანილი ტრადიცია - წარჩინებული მე-12 კლასელებისთვის სკოლის ეზოში სახელობითი ვარსკვლავის გახსნა.

მე-4 კლასის მოსწავლეებისთვის განსაკუთრებული წელია, ისინი ემშვიდობებიან თავიანთ პირველ დამრიგებლებს. სკოლას 7 მე-4 კლასი ჰყავს. 15 ივნისს ცისარტყელის 7 ფერად გაფერადდებიან მოსწავლე - მასწავლებლები და ერთმანეთს მადლობას გადაუხდიან საინტერესო და წარმატებული საერთო 4 წლისთვის. კლასის დამრიგებლები ამაყობენ თავიანთი მოსწავლეებით, რადგან, მათ ღირსეულად შეძლეს პანდემიის პირობებშიც კი, აქტიურად და ნაყოფიერად წარემართათ ერთობლივი სასკოლო წლები.

გთვაზობთ თითოეული კლასის დამრიგებლის მცირე ინტერვიუს:

მარინა კუპატაძე: არასოდეს დაგივიწყებთ

მე და ჩემი მოსწავლეები კარგი მეგობრები ვართ, სწორედ ამან შეუწყო ხელი, რომ ჩვენი 4 წლიანი ურთიერთობა საინტერესო, ნაყოფიერი და მრავალფეროვანი იყო. ჩვენს მიერ განხორციელებული მრავალი საინტერესო აქტივობიდან, გამოვყოფდი „ჩემს ტრადიციულ აქტივობას“, რომელსაც საბავშვო მწერლის **ასტრიდ ლინდგრენის** დაბადების დღეს, 14 ნოემბერს, მისი ცნობილი პერსონაჟის - პეპის თანხლებით აღვნიშნავთ. ვერთიანდებით ყველა: მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები და პეპის ფორმაში გამოწყობილნი ვცდილობთ მოსწავლეებში გავაღვიძოთ წიგნისადმი სიყვარული. ბავშვების ინტერესებზე მორგებული სასწავლო პროცესი მუდამ ნაყოფიერი შედეგის მომტანია. გამოვყოფ კიდევ ერთ აღსანიშნავ ფაქტსაც: სასკოლო პროექტში „ბრძოლა გარემოსდაცვით გამოწვევებთან“ ჩემმა მოსწავლეებმა თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. დარწმუნებული ვარ, ჩემი მოსწავლეებით მუდამ ვიამაყებ!

შორენა იმედაიშვილი: თქვენით მუდამ ვიამაყებ

დასრულდა 2021-2022 სასწავლო წელი. მე და ჩემი მოსწავლეები ვაჯამებთ ერთად გატარებულ ოთხ ბედნიერ წელს და სხვადასხვა გზებით სიარულთან შეგუებას ვცდილობთ. ისინი მეხუთე კლასში გადადიან და მზად არიან შეხვდნენ ახალ საგნობრივ მასწავლებლებს. მე ჩემს მომავალ პირველკლასელებთან შესახვედრად ვიქმნი შესაბამის განწყობას. საინტერესო პერიოდი გვაქვს თითქოს. ერთდროულად გულიც გვწყდება განშორების წინ და გვიხარია კიდეც, ახალ გამოწვევებთან შეხვედრა რომ გვიწევს. მიუხედავად იმისა, რომ ორი წელი ონლაინ სწავლების ფორმატში, დისტანციურად გავატარეთ საერთო მიზნიდან ერთი წუთითაც არ გადაგვიხვევია. პირიქით, გაათმაგებული ძალებით ერთად ბევრი საინტერესო აქტივობა თუ პროექტი განვახორციელეთ, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების კუთხით. მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით სასურველი და საინტერესო მკითხველთა კლუბში

საქმიანობა აღმოჩნდა, რომელიც მეოთხე კლასში შევქმენით და ერთობლივი გადაწყვეტილებით **„რაკარუკი“** დავარქვით. ბავშვებს ძალიან გაუხარდათ, როდესაც კლუბის საქმიანობის ფარგლებში წაკითხული წიგნის **„დიიიდი ნუნუს“** ავტორს ბ-ნ **გიორგი ჭაუჭიძეს** შეხვდნენ. ახლა შემოქმედებითი საღამოსთვის ვემზადებით და აი, ასე უკვე

→ *გაგრძელება მე-2 გვ.*

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

გამოთხოვება პირველ მასწავლებელთან

პირველი გვერდიდან

ფეხადგმულები, ჭკუა-გონება ნავარჯიშევი, გულდაწყვეტით, თუმცა დიდი ინტერესით, გადავდივართ ცხოვრების ახალ ეტაპზე.

ლია ვარძელაშვილი: თქვენს წარმატებებს მუდამ მივესალმები

ოთხი წელიწადი... იცით, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია?

ეს არის წლები სიყვარულის, კვლევის, ძიების

დედაენაში ცვარნამივით მიმობნეული მარგალიტების...

სიკეთე, სიყვარული, ერთგულება, აი, ჯადოსნური სიტყვები, რომელიც ზოლად გასდევდა ოთხ წელს. მთელ ცხოვრებასაც ხომ ეს სიტყვები ასულდგმულებს.

დღეს იდუმალებით სავსე ფერი მოსდებია გარემოს. ზარმა დარეკა, ყურში ჩამჩურჩულა: ნახვამდის, მასწავლებელო, მე შენთან ჩემი „შეულამაზებელი" ბავშვობა დავტოვე.

მინდა ყველა პატარას ეს ოთხი წელიწადი სითბოდ ჩაეღვაროს სულში და ლამაზი სურვილებით ხვალინდელი დღის გათენება დავულოცო.

ქეთევან მიქაძე: მეგობრებად დავრჩებით

სამი წელია, რაც მასწავლებელი ვარ. მყავს სადამრგებლო ჯგუფი. ჩემი მოსწავლეები მეოთხე კლასს ასრულებენ, გაიზარდნენ. დარწმუნებული ვარ მეტი შრომითა და პასუხისმგებლობით გააგრძელებენ ცოდნის სამყაროში მოგზაურობას.

ჩემი მასწავლებლობის პირველივე დღეებიდანვე, კლასში მრავალფეროვან და საინტერესო აქტივობებს ვახორციელებ. გარდა საკლასო აქტივობებისა, ჩემთვის მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების კუთხით დაგეგმილი პროექტები, რადგან პროექტული სწავლება ხელს უწყობს მასწავლებელს დანერგოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, ასევე მოსწავლეებს აქტიურსა და მოტივირებულს ხდის. მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვაში მეხმარება დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები , მეთოდები და მიდგომები.

ვცდილობ მოსწავლეებს პოზიტიური საკლასო გარემო შევუქმნა, რომ ავუმაღლო სწავლის განწყობა და სურვილი. ჩემთვის მნიშვნელოვანია მოსწავლე იყოს ბედნიერი და ლაღი, ამას რომ მივაღწიოთ მასწავლებელი ყოველდღიურად უნდა სწავლობდეს და იყოს თვითგანვითარებაზე მზრუნველი.

ვერიკო ხელაია: მუდამ თქვენზე ვზრუნავდი

დიდი ბედნიერებაა იყო მეგობრული, მხიარული, გონიერი ბავშვების დამრიგებელი. ამ ოთხმა წელმა, ჩვენ, დაგვაახლოვა და ერთ დიდ ოჯახად გვაქცია! ეს ის თაობაა, რომელიც მზად არის ახალი გამოწვევებისთვის დ თავის სიტყვას იტყვის მომავალში . მინდა, წარმატება ვუსურვო და დავულოცო გასავლელი გზა. დაე, მათ განათებული ლამპრით ევლოთ და დაეპყროთ ცოდნის მწვერვალები!

სოფიკო მეხაშიშვილი: მათთან ნაყოფიერად ვიმუშავე

პანდემიის ბავშვები 4დ-დან მშობლებმა მნიშვნელოვანი არჩევანი გააკეთეს თავისი პატარებისთვის, რომ შვილები სსიპ ზ. იარაჯულის სახელობის №106 საჯარო სკოლაში შემოიყვანეს.

მე კი გამიჩნდა ახალი საზრუნავი, საგნის სწავლებასთან ერთად ოცდახუთი ღორსეული მოქალაქის ჩამოყალიბებაზე უნდა მეზრუნა მშობლებთან ერთად.

მინდა გაგიზიაროთ პირველი დღე და მათი ემოციები. საყვარელი სათამაშოს წამოღება ვთხოვე. ყველამ მოიტანა, თუმცა დედის კალთას ამოფარებულები გაჩუმდნენ. მაშინ მივხვდი, რომ ბევრი რამ გვქონდა სასწავლი. დავიწყეთ პროექტული და კლასგარეშე აქტივობები. ბევრი რამ შევიმეცნეთ. შემდეგ პანდემია... და კვლავ ჩავიკეტეთ. მშობლების თანადგომით, კლასგარეშე და სხვადასხვა უნარებზე მორგებული აქტივობებით შევძელით რომ ყოფილიყვნენ მეტად სოციალურები, თამამები, მოაზროვნეები. ახლა ისინი უამრავ პრეზენტაციას აკეთებენ. დამოუკიდებლად გეგმავენ და აწყობენ ღონისძიებებს, მონაწილეობას იღებენ კვლევებში. მიხარია, რომ ეს ოთხი წელი მათთან ერთად გავატარე.

მეგი გუმბერიძე: დარწმუნებული ვარ, მასახელებენ

მთავრდება 2021-2022 სასწავლო წელიც... დრო სწრაფად და უჩვეულოდ გავიდა...ბოლო წელს განსაკუთრებით ხშირად მესმის მოსწავლეებისგან წუხილი იმის თაობაზე, რომ მომავალ წელს მათი მასწავლებელი აღარ ვიქნები....

მხოლოდ მათთვის არა, ჩემთვისაც რთულია იმის გააზრება, რომ მოსწავლე-მასწავლებლის სტატუსით მჭიდრო კავშირი აღარ გვექნება და ყოველ დღე საკლასო ოთახში აღარ დამხვდებიან ჩემთვის ძვირფასი ადამიანები. ჩვენ ხომ ერთად **„გავიზარდეთ''**, და ოთხი წელი გავატარეთ ერთად! მინდა გაგიზიაროთ, მოკლედ შევაჯამო განვლილი წლები.

გაბრიელა მისტრალი სწავლებას ღვთისმსახურებას ადარებდა, ჩემი აზრით, მასწავლებელმა თავიდანვე უნდა გააცნობიეროს, რომ მის გარშემო კი არ უნდა იტრიალოს მოსწავლემ, არამედ პირიქით, ცენტრად მოსწავლე და მისი ინტერესები აქციოს.

ხოლო ინტერესთა სწორად ჩამოყალიბებას თვითონვე შეუწყოს ხელი. ვფიქრობ, რომ ეს მისია შევასრულე და ვცდილობდი სასწავლო მუშაობა ყოფილიყო მრავალფეროვანი, საინტერესო, შემოქმედებითი და მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული. ვფიქრობ, რომ ჩვენს საკლასო ოთახში იგრძნობოდა ურთიერთპატივისცემა, მოსწავლეთა აღიარება, დაფასება და მათაც ყოველთვის მოუხაროდათ ჩემთან შეხვედრა.

მოსწავლეები ჩართულები იყვნენ **„იზრუნე.ჯის''** საგანმანათლებლო პორტალში. გასულ სემესტრში კლასი 8-ჯერ გახდა სუპერკლასი და კლასს მიენიჭა **„მომავლის კლასის''** წოდება.

მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ოლიმპიადაში.

აქტიურად ვახორციელებდით სასკოლო პროექტებსა და ღონისძიებებს. ვფიქრობ, მოსწავლეთა წიგნიერების უნარის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა საკლასო ბიბლიოთეკამ, სხვადასხვა აქტივობებმა და წიგნი გახდა მათი მეგობარი.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ არაფორმალური განათლება მოსწავლეში ხელს უწყობს ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებას, რაც მოსწავლეს უვითარებს შემდეგ უნარებს: ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სოციალური და თანამშრომლობითი, სისტემური აზროვნების ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრქტიკულ გამოცდილებასაც იძენდეს. ეს ყოველივე ხელს უწყობს მოსწავლის ინტერესთა უკეთ წარმოჩენას და შემდგომში მის კარიერულ წინსვლას.

დისტანციური სწავლების რეჟიმში, ვქმნიდი შესაბამის ელექტრონულ რესურსებს, ტესტებს და ვცდილობდი მუშაობა ყოფილიყო მრავალფეროვანი, საინტერესო და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მორგებული.

თბილისის, ზურაბ იარაჯულის სახელობის სკოლა ამაყობს თავისი დაუღალავი მასწავლებლებით, მოსწავლეებითა და აქტიური, შვილებზე სწორად მზრუნველი ოჯახებით. ერთობლივი მუშაობის შედეგია სკოლის მრავალმხრივი წარმატება.

დაწყებითი კლასის პედაგოგი – ინა მეცხვარიშვილი.

P.S. რედაქტორის მინაწერი: ყველა კურსდამთავრებულს ვულოცავ დამოუკიდებელი ცხოვრების ფართო შარაგზაზე გასვლას! წარმატებული, გამარჯვებული ყოფილიყოს მათი ასპარეზი.

ასევე ვულოცავ კლასიდან კლასში წარმატებით გადასვლას ყველა საფეხურის მოსწავლეს. ახლა ხომ იცით, რა არის საჭირო? შინაარსიანი, მხიარული დასვენება. აკი გვირჩევს ერთი პოეტი: „გიგლა, გეყოფა სწავლა, ახლა კარგია გავლა!"

არც პედაგოგებს და სხვა მუშაკებს, მათ შორის ბატონ **თენგიზ გულორდავას**, მოადგილე **ნაზი სეთურიძეს** აწყენდათ ეს მოწოდება.

ძალთა მოკრებას, ახალი სასწავლო წლისთვის შემართებას გისურვებთ, 106-ე სკოლელებო!

ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ ᲨᲡ „ᲪᲝᲓᲜᲐᲨᲘ"

ᲐᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲑᲐᲠᲐᲥᲘᲐᲜ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲘᲛᲙᲘᲐᲜ

„მაშინ იხარებს მწიდნავი, ოდეს მოითვლის მტევნებსა". ზუსტად ეს სიხარული უდგათ კერძო სკოლა **„ცოდნის"** პედაგოგებს და მოსწავლეებს, ამაღლებული განწყობა თავდადებული შრომით უხვი მოსავლის აღებისა.

დედაქალაქში მეოთხედ საუკუნეზე მეტია პირველობს და ლიდერობს ლიცეუმი **„ცოდნა".** უსასტიკეს პირობებშიც კი ყველა სიძნელე გადალახეს. გმირობის ტოლფასია პედაგოგების, მოსწავლეების, მათი მშობლების, განსაკუთრებით კი - დიდი დირექტორის, **ნაზი ნადირაძის** ძალისხმევა.

როგორც სენტ-ეგზიუპერი მოდიოდა თავისი ბავშვობიდან, ისე მოდის უშრეტი ენერგიით,

შემოქმედებითი გზნებით ნაზი მეოცე საუკუნიდან წარმატებული, დიადი. ნახევარი საუკუნეა მისი სახელი გაისმის პედაგოგიურ სივრცეში, მუდამ იყო და არის ჩინებული პედაგოგი, აღმზრდელი კვალიფიციური კადრებისა, ნაყოფიერად იღვაწა 71-ე სკოლის ხელმძღვანელად...

არ მინდა ზედმეტი პათეტიკა გამომივიდეს. **„ცოდნას"** ჩემზე უკეთესი ჟურნალისტები ჰყავს პედაგოგებად. ამიტომ მინდა კალამი მათ დავუთმო.

რედაქტორი

გვაქვს უფლება - წარმატებით ვიამაყოთ

კიდევ ერთი ლამაზი და ემოციებით დახუნძლული სასწავლო

წელი მიილია სკოლა-ლიცეუმ **„ცოდნაში".** რამდენ ბედნიერ, ამაღელვებელ და სიხარულით გამთბარ წუთს იტევს ჩვენი სასკოლო ცხოვრება, სადაც თითოეული დღე განსაკუთრებული ისტორიაა სიყვარულის, მეგობრობის, თანამშრომლობის, ბედნიერების...

ამ საოცარ ადგილას თითქმის ყოველთვის რაღაც ხდება,

რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, ახალი და ძალიან საინტერესო, რაც, უპირველს ყოვლისა, მოსწავლე-მასწავლებლების მუდამ ზრდისა და სიახლეებისკენ სწრაფვის სურვილითაა განპირობებული.

ამ ისტორიის სულისჩამდგმელი კი სკოლის დირექტორი ქალბატონი **ნაზი ნადირაძეა,** რომელიც პროფესიონალიზმის, პრინციპულობის, ბრძოლის, საოცარი ოპტიმიზმის, უპირობო სიყვარულის, ერთგულებისა და სიკეთის ცოცხალი მაგალითია...

ამგვარ ღირებულებებს ეფუძნება სკოლის კონცეფციაც, სადაც მუდმივად ზრუნავენ ერთმანეთზე. სწავლობენ და ასწავლიან... უყვართ და აფასებენ...

ადმინისტრაცია დღენიადაგ ცდილობს ფეხი აუწყოს განათლების თანამედროვე ტენდენციებს. ხალისიანი და დასამახსოვრებელი გახადოს

თითოეული ბავშვისთვის სასკოლო ცხოვრება და, რაც მთავარია, ცოდნის მიღებასთან ერთად, ხელი შეუწყოს მოსწავლის დამოუკიდებელ, ჰუმანურ, კეთილშობილურ პიროვნებად

ჩამოყალიბების პროცესს. ამ დიად მიზანს ემსახურება თითოეული გაკვეთილი, შიდასასკოლო და გარესასკოლო აქტივობები თუ ღონისძიებები.

სკოლაში განსაკუთრებულად აღინიშნა (ყოველთვის აღინიშნება) დედაენის დღე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ორგანიზებით: გასვლითი გაკვეთილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში - **„ხელნაწერების კვალდაკვალ"** (მასწავლებლები **ლია ბაზაძე, ხათუნა გრძელიძე) „1979 წლის 14 აპრილი"** - წიგნის განხილვა და ფილმის ჩვენება, შეხვედრა ლიტერატურული კლუბის წევრებთან (მასწავლებლები **ლია ბაზაძე, დარეჯან ცხომარია)** ვიდეოსლაიდები **„ჩვენ გვიყვარს ქართული ენა"** (მასწავლებელი **ეკა თევზაძე**); სკოლის კედლები გაფორმდა ულამაზესი პოსტერებით, კედლის გაზეთებით (მასწავლებელი **ნინო მელქაძე, ხათუნა გრძელიძე);** ჩატარდა ტელეხიდი პროექტ **„ქართული ფესვების"** ფორმატში თურქეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან (მასწავლებელი **დარეჯან ცხომარია**).

სწავლა-სწავლების მონიტორინგის მიზნით ყოველ სემესტრში ტარდება სასკოლო წერა სხვადასხვა საგანში და შედეგების მიხედვით იგეგმება შემდგომი ნაბიჯები სწავლის გასაუმჯობესებლად. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში. აღსანიშნავია **მარიამ ჭიღლაძის** წარმატება, ის ,,კინგსის" ოლიმპიადის ,,ოქროს მედლის" მფლობელია მრავალგზის, რაც ძალიან საამაყოა (მასწავლებელი **ლია ბაზაძე)**

აღსანიშნავია ლიტერატურული კლუბის წარმატებული გამოსვლა ანსამბლ **„გვირილას"** საიუბილეო საღამოზე სასტუმრო **„ბილტმორში"** ლიტერატურული კომპოზიციით **„სამშობლო"** (ხელმძღვანელი **დარეჯან ცხომარია);**

საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრებმა სასწავლო კონფერენციითა და საინტერესო პროექტებით შეაჯამეს სასწავლო წელი.

საბუნებისმეტყველო კათედრაზე განხორციელდა პროექტი- HEALTHY LIFE (მასწავლებლები **რუსუდან ფარეხელაშვილი, ბელა თოდუა).** დღევანდელი ცხოვრების რეჟიმიდან გამომდინარე ჯანსაღი ცხოვრების წესის კონცეფცია და მისი პოპულარიზაცია პრიორიტეტულია. პროექტში მონაწილეობას იღებდნენ მე-10 კლასის მოსწავლეები :

ვალერია კაცაძე - ,,ვიტამინები''; **სალომე ქობელაშვილი** - ,,სწორი კვება'';

ლუკა ბუნტური - „ფეხით სიარულის მნიშვნელობა ჯანმრთელობისთვის'';

თორნიკე ლოლუა - „ჯანსაღი ძილი''; თორნიკე ფოფხაძე - „წყალი და ჯანმრთელობა''

VI კლასმა (მასწავლებელი **ქეთევან მანია**) იმუშავა პროექტზე **„წერილი აფხაზ თანატოლს".** მოსწავლეებმა თავიანთ აფხაზ თანატოლს გულთბილი წერილები მისწერეს, მეგობრულ გზავნილებში გულისტკივილი გამოხატეს აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის დღეისათვის არსებულ მდგომარეობაზე და შერიგების სურვილი გამოთქვეს.

მოსწავლეები გამორჩეული მოხსენებისათვის დაჯილდოვდნენ **„გამორჩეული პრეზენტატორის"** სიგელით, კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცა მადლობის სიგელი. კვირეულის ფარგლებში, ასევე, განხორციელდა მოსწავლეთა ფერწერული ნამუშევრების გამოფენა. მოსწავლეების ნამუშევრები ძირითადად წარმოდგენილი იყო სამ ჟანრში: **პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი**. გამოფენაში V-IX კლასის 29 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა (მასწავლებელი **ნინო დოლიაშვილი**).

ემოციური იყო მეთორმეტეკლასელთა გამოსაშვები საღამო, ხუთი **„ოქროს მედალოსანი"** ჰყავს სკოლას, რაც ძალიან საამაყოა. წარმატებები მათ!

სკოლამ უმასპინძლა მომავალ პირველკლასელებს **„ღია კარის"** დღეზე, მხიარული ანიმატორებითა და თბილი დახვედრით ადმინისტრაციამ გზა დაულოცა მომავალ **„ცოდნელებს"** ცოდნის

სამყაროში.

საყოველთაო სიხარულად იქცა ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელიც სკოლის ეზოში, ღია ცის ქვეშ გაიმართა.

სკოლა-ლიცეუმი **„ცოდნა",** მისი თითოეული მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია, მშობლები, გულშემატკივრები კიდევ უამრავი საინტერესო, ულამაზესი და მასშტაბური ზეიმის მოლოდინშია... ამაზე შემდგომში იყოს...

ნინო მელქაძე,
დირექტორის მოადგილე,

ლია ბაზაძე,
უფროსი მასწავლებელი.

რედაქტორის მინაწერი:

„ცოდნის" ყველა პედაგოგს, პირადად **ნაზი ნადირაძეს** ას წელს მიღწეული **„სახალხო განათლების"** მუდმივი მხარში დგომისათვის, დახმარებისათვის რედაქციის სახელით უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ყველას! ყველას! ყველას! გილოცავთ სასწავლო წლის ასე ნაყოფიერად დამთავრებას, კურსდამთავრებულთ კი - თქვენი კარგი მამულიშვილობით მამულის, მშობლიური სკოლის, თქვენი აღმზრდელების გახარებას.

არდადეგები ყველას უნდა - დიდსა და პატარას, ჰოდა, დასვენების დღეების შინაარსიანად ხალისიანად გატარებას, ძალთა მოკრებას ახალი სასწავლო წლისათვის!

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲡ, ᲛᲔ-9 ᲡᲙᲝᲚᲔᲚᲔᲑᲝ!

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ-ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐᲛ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ ᲛᲝᲒᲕᲪᲐ

ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ვყოფილვარ ამ სკოლაში, მუდამ მომიხარია აქეთკენ. აქ მეგულება ძვირფასი მასპინძელი: ძლიერი პედკოლექტივი, გამობრძმედილი, შემოქმედი ხელმძღვანელობა - დირექტორი **მარინე გიგაური** და მისი მოადგილე **ელეონორა ფერაძე**, ყველა მუშაკი სკოლისა. დაგხვდებიან გულთბილად და, რაც მთავარია, მუდამ წარმატებულნი, შარშანდელზე უკეთესები. მიხარია, რომ დირექტორმა ავტორიტეტი მოიხვეჭა, შეძლო მონოლითური, შეხმატკბილებული კოლექტივის ჩამოყალიბება.

უმადურება იქნებოდა, არ აღგვენიშნა წინამორბედი დირექტორის, **მანანა ფურცელაძის** კეთილი საქმეებიც, რომელიც 43-ე სკოლაში გადაიყვანეს.

მარინე გიგაურმა უფრო

მაღალ ხარისხში აიყვანა სკოლის მართვა, ბევრი სიახლე დანერგა, პოზიტიურად გამოიყენა ადრე სხვა სკოლაში შეძენილი მოწინავე გამოცდილება. სკოლას შესანიშნავი პედაგოგ-ჟურნალისტები ჰყავს. ამიტომ მათგან მოწოდებული მასალით მოკლედ წარმოგიდგენთ სასწავლო წლის დამთავრების პანორამას. „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, მოსმენაა ამად კარგი".

რედაქტორი

* * *

რაც შევძელით, ყველაფერი გულით, სიყვარულით

დამოკლეს მახვილივით ეკიდა ჩვენს თავზე მსოფლიოს ვერაგი მტერი, აგერ უკვე მესამე წელია. მიმდინარე სასწავლო წელს ამას დაემატა რუსეთ-უკრაინის მძვინვარე ომი.

მიუხედავად შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა, სსიპ - ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის

მე-9 საჯარო სკოლში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა დამაკმაყოფილებლად. სკოლაში იმატა მოსწავლეთა რაოდენობამ, რომლებსაც მათივე თქმით, მოენატრათ სკოლა, საკლასო ოთახში გაკვეთილებზე დასწრება.

ყველა მასწავლებელმა გაიარა 20 საათიანი საგნობრივი ტრენინგები.

2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს სკოლას ჰყავს 9 მედალოსანი. მიუხედავად პანდემიისა სკოლაში მედალოსნების რაოდენობა კვლავ მაღალია, რაც ძალიან გვახარებს. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებისათვის სკოლაში კვლავ გრძელდება სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება:

სკოლის თვითმმართველობამ „დედაენის" დღესთან დაკავშირებით მოაწყო ბევრი საინტერესო, შემეცნებით-შემოქმედებითი არაჩვეულებრივი ღონისძიება, რომელშიც ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები.

ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებით სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა **ანა მაისურაძემ** ჩაატარა კონფერენცია თემაზე: **„ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა",** რომელიც დღევანდელ პირობებში აუცილებელი იყო.

განათლების სამინისტროს თანხმობით და ხელშეწყობით, ევროპული განათლების პროგრამაში **„ნაუტილიუსი** – 2021-2022 სასწავლო წელი", მონაწილეობა მიიღო სკოლის **ხუთმა მოსწავლემ**, რომლებიც გადავიდნენ ფინალურ ტურში და გადმოეცათ სერთიფიკატები.

მოეწყო შიდა და რაიონული სპორტული შეჯიბრება - ფრენბურთში ნაძალადევის რაიონის გამგეობის ორგანიზებით. ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი და ნაძალადევის თასი აიღეს ფრენბურთში. ნამდვილად

გასახარი და მისალოცია.

დიდი მუშაობა ჩატარდა მასწავლებელთა კარიერული წინსვლის კუთხით, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის გვეყოლება უფრო მეტი სტატუსიანი (უფროსი, წამყვანი, მენტორი) მასწავლებლები. უკვე ძალებს ცდიან ახალგაზრდა პედაგოგები, დადიან ტრინინგებზე, ემზადებიან ნახტომებისთვის.

მართალია, რაც წლის მანძილზე გაკეთდა, აქ მისი აღნუსხვა დეტალებში გაგვიჭირდება, მაგრამ ყველაზე ძირითადი, ყველაზე არსებითი არ გვინდა გამოგვრჩეს.

2021-2022 სასწავლო წლის დასრულება მეთორმეტე კლასელებმა აღნიშნეს მოკრძალებულად და ძალიან ლამაზად. **„ბოლო ზარის"** ღონისძიება ჩატარდა სკოლის სააქტო დარბაზში. კურსდამთავრებულებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია და შეასრულეს რამდენიმე საკონცერტო ნომერი. სკოლის დირექტორს, მის მოადგილეს, ყველა პედაგოგსა და თანამშრომელს დაემშვიდობნენ სიყვარულით და მადლიერებით.

განსაკუთრებული მაინც იყო დამშვიდობება პირველ მასწავლებელთან.

მომვალ სასწავლო წელს კვლავ 3 პირველი კლასი გაიხსნება, რაც ჩვენისთანა პატარა სკოლისათვის არ არის ურიგო მაჩვენებელი.

მომავალ სასწავლო წელს ბევრი საინტერესო ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი, მათ შორის ერთ-ერთ ღონისძიებაში ჩაერთვება სკოლის ყველა მასწავლებელი, ისინი შეასრულებენ სხვადასხვა სპექტაკლებიდან სიმღერებს, წაიკითხავენ ლექსებს, ეროვნული ფორმით შეასრულებენ ქართულ ცეკვებს და ა. შ. ასევე დაგეგმილია ღონისძიება სპორტულ თემატიკასთან დაკავშირებით, სადაც მოწვეულნი იქნებიან სკოლის მეგობრები, საპატიო სტუმრები, სკოლის აღზრდილი ცნობილი ადამიანები.

ასევე გათვალისწინებულია სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც აუცილებლად განხორციელდება".

* * *

მკითხველი ადვილად დარწმუნდება: ამ, თითქოსდა, მშრალი სტატისტიკის უკან დგას, მე ვიტყოდი, გმირული შრომა,

რა თქმა უნდა, სკოლის დირექტორის **მარინე გიგაურისა,** მისი მოადგილე **ელეონორა ფერაძისა**, ყველა პედაგოგის, სკოლის მუშაკის, ყველა მოსწავლის, ონლაინ სწავლება თუ საკლასო, ბუნებრივ პირობებში.

გილოცავთ სასწავლო წლის წარმატებით დასრულებას, კოლეგებო! დახარჯულ ენერგიას აღდგენა სჭირდება, ბრუნებრივია, გისურვებთ ჯანსაღ, მშვიდობიან დასვენებას, მე-9 სკოლელებო!

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲐᲫᲔ,
საქ. დამს. ჟურნალისტი

P. S. რედაქტორის მინაწერი: **მარინე გიგაური** ას წელს მიღწეული ჩვენი გაზეთის დიდი გულშემატკივარია, თანამდგომია, დამხმარე - თავის პედკოლექტივთან ერთად რედაქციის სახელით - მას დიდი მადლობა!

სასწავლო წელი წარმატებით დაასრულეს



სკოლამდელი განათლების სისტემაში მუდმივად ხდება ახალი ხედვებისა და გამოწვევების დანერგვა, ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებისა და მისი განვითარებისათვის საჭირო გარემოს შექმნა. მას შემდეგ, რაც კორონა ვირუსის პანდემია დაიწყო, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საბავშვო ბაგა-ბაღებში პასიური პერიოდი ამდენ ხანს გაგრძელდებოდა. ეს ერთადერთი რგოლია, სადაც დისტანციური სწავლება და მუშაობა ვერ ხერხდება. ხანგრძლივი იძულებითი დასვენებების შემდეგ, როგორც კი შეზღუდვები მოიხსნა, რეგულაციებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა დაბრუნება მოხერხდა. თბილისის 45-ე ბაგა-ბაღი (დირექტორი **იზა კვანტიძე**) სპეციალური რეკომენდაციების გათვალისწინებითა და დიდი შემართებით შეხვდა სასწავლო წლის დაწყებას და აღსაზრდელთა მიღება ყველა ასაკობრივ ჯგუფში განაახლა. ბაღში **11** ჯგუფია, აქედან **3** მზაობისაა.

სკოლაში წამსვლელი აღსაზრდელების მაქსიმალური წინასასკოლო მომზადება ადაპტირებული სააღმზრდელო პროგრამის საშუალებით ხდება, რაც გაწერილია ბავშვთა ასაკობრივი განვითარების სახელმწიფო სტანდარტებში. თანმიმდევრობით შესრულდა დროში გაწერილი ეტაპები, რათა უზრუნველყონ სკოლაში წამსვლელი აღსაზრდელების მაქსიმალური წინასასკოლო მომზადება. თითოეულ ბავშვს აქვს პორტფოლიო და სასკოლო მზაობის სტანდარტის მიხედვით შეფასება და განვითარების გეგმის მიღწევის შედეგები. აღსაზრდელები ძალიან საინტერესო შემოქმედებით აქტივობებში არიან ჩართულები, რასაც წარმატებით ახორციელებენ **5-6** წლიანთა ჯგუფების აღმზრდელები – **ეკა გელიაშვილი, მაკა გიორგაძე, ნინო ფანქველაშვილი**; აღმზრდელის თანაშემწეები – **შორენა გეგუჩაძე, ცისანა მელქაძე, ნათია წიკლაური.**

რთული პერიოდი უკან დარჩა, ცდილობენ მაქსიმალურად აანაზღაურონ დაკარგული დრო. ტარდება სიტუაციის შესაბამისი აქტივობები, ღონისძიებები. ასაკობრივ სააღმზრდელო პროექტებში ჩართულები არიან: **2-3** წლიანთა ჯგუფები: აღმზრდელები – **მანანა ქველაძე, ანა ჯანიაშვილი**; აღმზრდელის თანაშემწეები – **ლია ფოცხვერაშვილი, მაია ყანჩაველი**; **3-4** წლიანთა ჯგუფები: აღმზრდელები – **მაია ვაშაყმაძე, ნანი ნახუცრიშვილი, იამზე კვანტიძე;** აღმზრდელის თანაშემწეები – **დალი მათიაშვილი, მაია ბურდული, ლია ბაკურაძე**; **4-5** წლიანთა ჯგუფები: აღმზრდელები – **ირმა ბერიძე, მანანა ციცვიძე, ქეთინო მესხორაძე**; აღმზრდელის თანაშემწეები – **თამილა ახალმოსულიშვილი, ლია ალანია, ნანა ჩხაიძე.**

ბაგა-ბაღში მაღალ დონეზეა მუშაობის შინაარსობრივი მხარე, დიდია მოთხოვნაც და მიმღებლობაც, რაზეც ყოველწლიურად მზარდი ბავშვთა რაოდენობა მეტყველებს. სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში საკუთარი წვლილი შეაქვთ: დირექტორის მოადგილე **რუსუდან კობიაშვილს**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორ **ლალი ბერიას**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორ **ირინე ბოკუჩავას**, სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფის კოორდინატორ **მაია თათარაშვილს**; ბაღში **15** განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვია, რომელთა ინდივიდუალურ ჩართვას პროცესში ახორციელებს მულტიდისციპლინარული ჯგუფი: ფსიქოლოგი **ლალი ნაზარაშვილი**, სპეც. პედაგოგები – **ნანული აბუთიძე, მარიამ ჯარმელიშვილი, ნათია ფუხაშვილი, ლელა ნადირაძე, ნინო ფეიქრიშვილი**; მათ ეხმარებიან აღმზრდელის თანაშემწეები: **მაია გულორდავა, ლალი ბეღელური, თამარ კობალაძე, თამარ ლაბუჩიძე, თამარ სოზაშვილი.**

დირექტორ **იზა კვანტიძის** ძალისხმევით, ბაღში შექმნილია უსაფრთხო გარემო, კეთილმოწყობილია ეზო, დასასვენებელი სივრცეები, მოწესრიგებულია სააღმზრდელო ოთახები და სველი წერტილები, დაცულია რეგულაციები, რაც ტექნიკური პერსონალის პასუხისმგებლობისა და შრომის შედეგია.

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო აქტიურად არის ჩართული ბაღების წინსვლისა და განვითარების საქმეში. ამჟამად, ბაღებში ინერგება **„ჰასპის“** სტანდარტის საერთაშორისოდ აღიარებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა, რომელიც სურსათის წარმოების პროცესში საფრთხეების დადგენას და აღმოფხვრას გულისხმობს. ამ შემთხვევაში მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქტია გამოყენებული. ბაღის კეთილმოწყობილ სამზარეულოში, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და კალორაჟის დაცვით ამზადებენ კერძებს: **მზია კევლიშვილი, შორენა ელანდიშვილი, თეონა ბროლაძე.** მიმდინარეობს სისტემატური მონიტორინგი არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

ბაგა-ბაღის დირექცია განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მიმართ, რომელიც მუდმივ მზადყოფნაშია მათ დასახმარებლად.

P. S. იზა კვანტიძე: აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო რედაქტორ **ბორის მიშველაძეს** და გაზეთ **„სახალხო განათლებას,“** რომლის ფურცლებზეც მუდმივად შუქდება სკოლამდელი განათლების სისტემის მიღწევები.

ჩვენის მხრივ, უღრმესი პატივისცემა ქალბატონ იზას წლების განმავლობაში ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის....მას და ბაღის მთელ კოლექტივს ვუსურვებთ წინსვლას და წარმატებას.

ნათია გურგენიძე

საქმემან შენმან...

წარმატებული დასაწყისის საწინდარი

იწურება 2021-2022 სასწავლო წელი. სსიპ თბილისის 67-ე საჯარო სკოლის დირექტორი **ნანა ჟორჟოლიანი** და მისი მოადგილე **იზა ზარანდია** აჯამებენ ერთი წლის განმავლობაში გაწეულ აკადემიურ-აღმზრდელობით მუშაობას. პანდემიის მიუხედავად, სკოლა წარმატებით ახორციელებდა დასახულ მიზნებს. თებერვლამდე სკოლა ჰიბრიდულ სწავლებაზე იყო, მაგრამ მაინც ბევრი საინტერესო სასწავლო-აღმზრდელობითი და შემოქმედებითი ღონისძიება ჩატარდა. მეორე სემესტრში სკოლა მთლიანად გადავიდა პირისპირ სწავლებაზე. მოსწავლეთა ყოველდღიურმა გამოცხადებამ მეტი სიხალისე შესძინა სასკოლო ცხოვრებას. საგნობრივი კათედრების ჩატარებულმა სხვადასხვა სასწავლო თუ შემოქმედებითმა ღონისძიებამ, მოსწავლეებს პანდემიის შემდგომი პერიოდი გაუხალისა.

სასწავლო წლის ყოველი კვირა დატვირთული იყო საინტერესო ღონისძიებებით. რამდენიმეს დავასახელებთ:

სახელმწიფო ენა – ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე (ხელმძღვანელი – **ხ. ხვედელიძე)** ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „ენა შემკული და კურთხეული"; მე-6 კლასელებმა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების მიხედვით შექმნეს ანიმაციური ფილმები და ნახატები; მე-7 – მე-11 კლასების მოსწავლეებმა წარმოადგინეს ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი საინტერესო პრეზენტაციები.ონლაინ სწავლებაზე მყოფმა მოსწავლეებმა გაკვეთილებზე განხილული წიგნების საინტერესო კომიქსები შექმნეს; მე-9 ა კლასის მოსწავლეებმა **ანი ტაბაკიანმა** და **ანი ძულიაშვილმა** საინტერესოდ წარმოადგინეს **ჯემალ ქარჩხაძის** „იგი" .

ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვის პოპულარიზაციის მიზნით, მომზადდა პროექტი თემაზე: ,,ჯანმრთელობა და გარემო", „ჭარბი წონა". **(თ. ივანელაშვილი**). „რეციკლირება" – ნარჩენების მეორადი გადამუშავება; „გარემოს ცვლილებები" – ადამიანის საქმიანობით გამოწვეული გარემოს ცვლილებები (ს. გაფრინდაშვილი).

სპორტული ღონისძიებები ყოველთვის იწვევს მოსწავლეთა დიდ ინტერესს. ჩატარდა მხიარული სტარტები – (1 – 6 კლასები), თანატოლებს არ ჩამორჩნენ სსსმ მოსწავლეები და წარმატებით იასპარეზეს მათთვის სათანადოდ შერჩეულ სპორტის სახეობებში. ასევე გაიმართა შიდასასკოლო ფესტივალი ფეხბურთში. მასში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეები მონაწილეობდნენ., გამარჯვებულებს სკოლის გარდამავალი თასი გადაეცათ **(გ. მახარაშვილი, თ. ყაზარაშვილი).**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრამ **(ი. ქენქაძე)** 23 თებერვალს, იუნკრების დღესთან დაკავშირებით, ჩაატარა ღონისძიება „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა"; საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი საინტერესოთ პროექტების კონკურსით აღინიშნა.

მოეწყო სასწავლო ექსკურსიები სხვადასხვა მუზეუმში.

მრავალფეროვანი ღონისძიებებით წარმოჩინდა დაწყებითი კლასების კათედრა **(ზ. არაბული).** ქართული ენის დღის აღსანიშნავად ღონისძიებები გაიმართა სკოლასა და დედაენის პარკში. მოსწავლეთა დიდი ინტერესი გამოიწვია კალიგრაფიის კონკურსმა. გამორჩეული იყო ბავშვთა დაცვის დღის აღნიშვნა, რომელშიც, მოსწავლეებთან ერთად, მათი მშობლებიც მონაწილეობდნენ. ლამაზი სპექტაკლები წარმოადგინეს მეორე კლასელებმა (მასწ. **ლ. ლომიძე, მ. ლებანიძე),** საინტერესოდ აღინიშნა პირველკლასელთა პირველი წელი სკოლაში **(ლ. სადრაძე, მ. აფხაიძე).**

სკოლა ტრადიციულად არის ჩართული საქველმოქმედო საქმიანობაში. დიდი მონდომებით გაერთიანდა უკრაინელი ხალხის დასახმარებლად. შეგროვდა მედიკამენტები, შესახვევი მასალები, სადეზინფექციო საშუალებები, ბავშვთა საკვები, სათამაშოები და ტანსაცმელი.

მოსწავლეთა ხელნაკეთი ნივთების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვით მიღებული თანხით გავახარეთ გლდანის ბავშვთა სახლისა და სკოლის სოციალურად დაუცველი ბავშვები.

სამეწარმეო კლუბის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს რუსთაველის გამზირზე გამართულ ღონისძიებაში ,,დავეხმაროთ დათის". მათ მიერ დამზადებული ნივთების გაყიდვითა და პედაგოგების ჩართულობით შემოსული თანხა ჩაირიცხა დახმარების ფონდში.

მუშაობს მუსიკის მოყვარულთა კლუბი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო თელავის მუსიკალურ კონკურსში და გრანპრი დაიმსახურა **(რ. გვეტაძე)**

სკოლამ გზა დაულოცა 65 კურსდამთავრებულს, რომელთაგან 5 ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალოსანია.

პროფესიული განვითარების მიზნით, პედაგოგები ესწრებიან ტრეინინგებს, რამდენიმე მასწავლებელი დარეგისტრირდა გამოცდებზე.

აღნიშნული იმის მცირე ჩამონათვალია, რაც განხორციელდა ამ სასწავლო წელს. სკოლა უკვე იწყებს მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვას. გვჯერა, მომავალი სასწავლო წელი უფრო საინტერესო და შემოქმედებითი იქნება.

ეკატერინე გურგენიძე

მე-60 ბაღი

აქ ფერადფერადი გარემოა

სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდება და პანდემიით გამოწვეული რეგულაციების მოხსნის შემდეგ, სააღმზრდელო დაწესებულებებში აღსაზრდელთა მხიარული ღონისძიებების ხმა სასიამოვნოდ ედება არემარეს. თბილისის **მე-60** ბაგა-ბაღიც (დირექტორი **მარინე სამსონიძე)** ამ დღისთვის განსაკუთრებულად ემზადება. ღონისძიებები ბაღის ცამეტივე ჯგუფში ჩატარდება. თუმცა განსაკუთრებული მოლოდინით მზაობის ჯგუფებში ემზადებიან. ჯერ საზეიმოდ მორთულ დარბაზში მოაწყობენ ლამაზ სანახაობებს, შემდეგ ფერად-ფერადად მორთულ და მოხატულ ეზოში გადაინაცვლებენ. სამუშაო გეგმაც სწორად აქვთ წარმართული.

10 წელია დირექტორის საიმედო დასაყრდენია დირექტორის მოადგილე **თინა ფიცხელაური.** თვალსაჩინოა მისი პასუხისმგებლობა და ყოველდღიური ყურადღება წესრიგის, სისუფთავის მიმართ, კვების პროცესის კონტროლისა და ჯგუფების შემოწმებისას.

სპეციალური პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს აღსაზრდელთა მომზადება სასკოლო მზაობის ჯგუფებში, სადაც აღმზრდელები – **დიანა შარიქაძე, ქეთევან პაპოშვილი, ჯულიეტა სოხაძე** და აღმზრდელის თანაშემწეები: **ანასტასია ლავერაშვილი, ნონა ხერგიანი, ლენა ხუდოევა, ეკატერინე ოდელაძე, ნინო გენებაშვილი, მირანდა სირბილაძე** – თამაშით სწავლების მეთოდიკის საშუალებით ამ პროგრამას წარმატებით ახორციელებენ....

პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს სწორად წარმართავენ აღმზრდელები: **ციალა მახარობლიშვილი, ციცინო სხირტლაძე, ლიანა ჩიქოვანი, მზია ორჯონიკიძე, ციალა ჩალიგავა, ნინო ბოკუჩავა, გიული ბარნაბიშვილი, ფატიმა ოდიშარია, ნათია ხუნაშვილი, ირმა გოგიბერიძე, თამარ სოიტაშვილი.**

საკმაოდ დატვირთული დღის რეჟიმი აქვთ აღმზრდელის თანაშემწეებს: **ლუდა ფარსადანიშვილი, ლაურა ლიჩელი, სოფიო ჯოლია, ნინო კუსიანი, მაკა ხაჩიური, მაია მახაჭაშვილი, ნინო ჯიბლაძე, თამარ ორჯონიკიძე, ზაირა გედევანიშვილი, ლელა კანდელაკი, მთვარისა ობოლაძე, ნინო გიორგობიანი, ქეთევან სამხარაძე, ირინე გელაშვილი, ნაზიბროლა ობგაიძე, მანოლი ღვინაძე, ხათუნა ქართველიშვილი, ლამარა ბაქრაძე.**

პროცესში ბავშვთა ინდივიდუალურად ჩართვასა და სასკოლო მზაობის ჯგუფების აღსაზრდელთა უნარების შეფასებას ახდენენ – მეთოდისტი **ნინო ბიაშვილი,** მეთოდისტის დამხმარე **ნანი ჭირაქაძე**, ფსიქოლოგები – **ირინე ცხოიძე, მაია ჟორჟოლიანი**; ლოგოპედები – **მზია სტვილია, ქეთევან ხუცურაული;** სპეც. პედაგოგები – **შორენა გოცირიძე, თამილა ჯოხაძე-გეგეშიძე, ირმა კუპატაძე;**

პატარების მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით მუსიკისა და ცეკვის პედაგოგებს – **ლედი ლორიას, ქეთევან ზუბიაშვილს, მანანა მამალაძეს.** მათი დამსახურებაა კიკვიძის პარკში, ბავშვთა დაცვის რაიონულ ღონისძიებაზე, ამ აღსაზრდელთა წარმატებული გამოსვლა;

დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს კოლექტივის თითოეული წევრი და მიღწეულ შედეგებში დიდი წვლილი შეაქვთ: ექთან **ქეთევან კახობერაშვილს,** საქმის მწარმოებლებს – **დალი ნიაურსა** და **ქეთევან ანდღულაძეს**; მნე **მზია ჭანკოტაძეს**, დამხმარე **თამარ როხვაძეს;**

მოწესრიგებულ სამზარეულოში, შესაბამისი კალორაჟის დაცვით დამზადებული გემრიელი კერძებით უმასპინძლდებიან პატარებს მზარეულები – **მანანა ქაჩლიშვილი, ციცინო მილაძე, დარეჯან ივანაშვილი, ლანა გუბელაძე;**

პანდემიით გამოწვეული რეგულაციების დაცვასა და ჰიგიენაზე, ეზო-გარემოს მოვლაზე ზრუნავს ტექ. პერსონალი: **ციალა პეტროსიანი, ქეთევან გეგეჩკორი, თამარ ყუბანეიშვილი, მზია აბუაშვილი, ნანი ქალიაშვილი, ეთერ ბოლქვაძე, ნუნუ ბალამწარაშვილი, ინგა გურგენიშვილი, ნანა სამნიაშვილი, ზაზა მიქელაძე, იზა ზარდიაშვილი, სერგო ქულუაშვილი, თამარ მინდორაშვილი.**

ბაგა-ბაღში **მარინე სამსონიძის** ხელმძღვანელობით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა და მომავალშიც წარმატებები ვუსურვოთ მათ.

მარიამ ბოლქვაძე

ევროპული აღიარება

აკეთებენ იმას, რაც უწყიან

2022 სასწავლო წლის დასასრული ახლოვდება და ჩვენც ვცდილობთ გავაანალიზოთ შედეგები და პრობლემები, რაც წლის განმავლობაში გვხვდებოდა.

მართალია, პანდემიის გამო, ხშირად გვიწევდა სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა, მაგრამ სასკოლო სივრცეში დაბრუნებულებმა მაინც შევძელით სხვადასხვა პროექტისა თუ საინტერსო ღონისძიების ჩატარება. რამდენიმე მათგანზე მოკლედ მოგახსენებთ.

„ახალი სკოლის მოდელის» ფარგლებში, წარმატებით ჩატარდა მასშტაბური სასკოლო პროექტი ,,თავის უფლი». იგი დღევანდელობის აქტუალურ თემას – ადამიანის უფლებების დაცვას ეხება და მასში ჩართული იყო აბსოლუტურად ყველა,72-ვე სადამრიგებლო კლასი.

მეორე წელია, რაც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ლელა ტალახაძე** სათავეში უდგას დებატების კლუბს და გვინდა სიამაყით აღვნიშნოთ, რომ ამ კლუბის მოსწავლეებს წარმატებები აქვთ Georgian Institute for Debate and Education • GIDE-ის მიერ გამართულ კონკურსებსა თუ პროექტებში. სამი მოსწავლე კი საჯარო დებატებშიც მონაწილეობდა.

მოგეხსენებათ, 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნეა და ჩვენც ვცდილობთ, მოსწავლეებს ციფრული ტექნოლოგიების ფლობასა და სწორ გამოყენებაში დავეხმაროთ. ამ საქმეს უშურველად და დაუღლელად უძღვება ჩვენი სკოლის რუსული ენის მასწავლებელი **ნარგიზ ქილიფთარი,** რომლის მოსწავლეებიც აქტიურად არიან ჩართულები ევროპის eTwinning პროგრამაში და დამსახურებული ჯილდოც არგუნეს - ევროპის ხარისხის ნიშნის სერტიფიკატები, ხოლო სულ რამდენიმე დღის წინ სკოლა დაჯილდოვდა ევროპული ხარისხის ეტიკეტით, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მოსწავლეებისა და სკოლის საქმიანობა აღიარებულია უმაღლეს ევროპულ დონეზე. აქვე ვულოცავთ ქალბატონ ნარგიზს მენტორის სტატუსის მინიჭებას. მასსა და მისი კლუბის მოსწავლეებს 2022-23 სასწავლო წელს ძალიან ამბიციური იდეები და პროექტები აქვთ დაგეგმილი.

2022-23 სასწავლო წლისთვის სკოლაში მივიღეთ 175 პირველკლასელი. სკოლა დაამთავრა 122 მოსწავლემ, გვყავს 4 ოქროს მედალოსანი.

სკოლისა და ,,თეოს სამხატვრო სტუდიის» ერთობლივი გამოფენა - „თავისუფალი სამყარო ირჩევს მშვიდობას!» - ჩატარდა 9 აპრილს. საოცარი ჩანაფიქრები და თავისუფლების დაუოკებული წყურვილი ჩანდა ბავშვების ნახატებში!

ემოციურად დაწყებული დღის გვირგვინი იყო 7/2 კლასის (დამრიგებელი – **ინგა სტვილია**) მოსწავლეების გულისამაჩუყებელი ღონისძიება... 33 წლის წინანდელი 9 აპრილის ავბედითი, მაგრამ თავისუფლების მომტანი ღამე, ჩვენს თვალწინ გააცოცხლეს ბავშვებმა და მთელი სიმძაფრით შეგვაგრძნობინეს ორლესული ნიჩბების სისატკე... აქვე, სევდიან და ტკივილიან განცდასთან ერთად, მტკიცედ გვითხრეს,რომ ,,თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია!»

არაჩვეულებრივი სცენარის, შესრულების შინაარსობრივი სისადავისა და მაყურებლამდე ზუსტად მიტანილი სათქმელის შემომქმედი იყო ჩვენი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი **ინგა სტვილია.**

ღონისძიებას ესწრებოდა საპატიო სტუმარი, მასწავლებელთა პროფესიული კავშირების სამგორის რაიონის ხელმძღვანელი **გულიკო ამილიძე.**

დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, 26 მაისს, მუსიკის მასწავლებლის **მერი კავთელაძის** თაოსნობით გაიმართა გრანდიოზული ღონისძიება **„დიდება გმირებს».**

ყოველთვის აქტიურია და მრავალფეროვანი ღონისძიებებით გვანებივრებს დაწყებითების კათედრა, რომლის ხელმძღვანელიც გახლავთ **ლელა გეთიაშვილი.** განსაკუთრებული დღე გვქონდა სკოლაში 1 ივნისს, ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს. ყველა კლასმა მოაწყო ამ დღესთან დაკავშირებული ღონისძიება. თუმცა, ჯადოსნური სამყარო შექმნა და დაუვიწყარი საღამო გვაჩუქა 2/7 კლასმა **თამილა მაღრაძის** ხელმძღვანელობით. პატარებმა ბუნების ნამდვილი მეჯლისი გამართეს სკოლის ეზოში.

სკოლაში 7 საგნობრივი კათედრაა: ქართულის **(ზ. ქავთარაძე),** მათემატიკის **(მ. გელაძე),** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების **(ნ.გიგოლაშვილი)**, საზოგადოებრივი მეცნიერებების **(ნ. ჩხვირკია),** ესთეტიკისა და სპორტის **(თ. ჯანაშვილი),** უცხო ენების **(ნ. ქილიფთარი).** თითოეული კათედრის საქმიანობის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. მათ აქვთ

სამოქმედო გეგმები, რომელთა შესრულების მხარდაჭერასა და მონიტორინგასაც (სხვა უამრავ ხილულ თუ უხილავ საქმესთან ერთად) უზრუნველყოფენ დირექტორის მოადგილეები: **ეკა ლიჩელი და ეკა სიმსივე.**

108 მასწავლებელი (მათგან 2 – მენტორი, 31 – წამყვანი, 75 – უფროსი) და 15 ტექპერსონალი ემსახურება მოსწავლეთა განათლებისა და აღზრდის საქმეს.

ამჟამად სკოლა ემზადება სამეურვეო საბჭოს არჩევნებისთვის. მოგეხსენებათ, რამდენად მნიშვნელოვანია აქტიური სამეურვეო საბჭო სკოლაში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობისთვის.

ახალ სასწავლო წელს ახალი შემართებით, ახალი მიზნებითა და ახალი გამოწვევებით შევხვდებით.

ნინო გახარია,
94-ე საჯარო სკოლის
დირექტორი

სიტყვა და საქმე

გამოწვევების საპასუხოდ

რუსთავის მე-17 საჯარო სკოლასთან ჩვენს რედაქციას კარგა ხნის შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებს, რაც იმის მტკიცე დასტურია, რომ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს გასიგრძეგანებული აქვს პედაგოგიურ პრესასთან მუშაობის სიკეთე.

საბჭოთა პერიოდში თავში გვიჭედავდნენ, ისტორიის წარმართველი ძალა მასაა, პიროვნების როლი კი მიჩქმალული იყო. არადა, ისტორია სწორედ საპირისპიროს ღაღადებს.

თუ სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მოედინება და რუსთავის მე-17 საჯარო სკოლის ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილმა დირექტორმა, ქალბატონმა ნელი ლიქოკელმა, ადმინისტრაციის, პედაგოგების მხარდაჭერით, ისე ააწყო სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, რომ სკოლა წლითიწლობით ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს სამშობლოსთვის მცოდნე, ზნეკეთილი თაობების აღზრდის რთულსა და საპატიო საქმეში.

ქვემორე მცირე მასალიდანაც ცხადლივ ჩანს, როგორი შემართებით უპასუხა მე-17 სკოლამ პანდემიის გამოწვევებს და ღირსეულად შეასრულა თავისი მისია.

***

სსიპ ლევან გოთუას სახელობის რუსთავის მე-17 საჯარო სკოლამ, 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, სწავლება ჰიბრიდული სწავლების რეჟიმში განაგრძო.

მიმდინარე სასწავლო წელი გამორჩეული იყო ახალი გამოწვევებითა და დისტანციურ რეჟიმში გადატანილი სასწავლო პროცესით. მიუხედავად ამისა, სასწავლო პროცესი აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს კოლეგების ხელშეწყობით, დირექციისა თუ სტრუქტურული ერთეულების აქტიური ჩართულობით, ჩვენი სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ონლაინ პლატფორმებითა და პროექტებით, საკმაოდ წარმატებულად დავასრულეთ სასწავლო წელი.

დისტანციური თუ დასწრებითი სწავლების დროს, მიმდინარეობდა მოსწავლეთა დასწრების მონიტორინგი სხვადასხვა ინსტრუმენტით. ძირითადად, მონიტორინგის შედეგად, დისტანციური სწავლების დროს, გამოიკვეთა ტექნიკური ხარვეზები სხვადასხვა მიზეზებით, რის გამოც, შემუშავებული და განხორციელებული იქნა შესაბამისი სტრატეგიები. სასწავლო წლის განმავლობაში, აქტიური ურთიერთთანამშრომლობდნენ დირექციია, პედაგოგები და მშობლები. კლასის ხელმძღვანელებს, შექმნილი აქვთ ჯგუფი, – „ერთი კლასის პედაგოგები“, სადაც გაერთიანებული არიან კონკრეტულ კლასში შემსვლელი საგნის პედაგოგები, რომლებიც ინდივიდუალურად განიხილავენ კონკრეტული მოსწავლის პრობლემებს და სახავენ მისი გადაჭრის გზებს.

აღსანიშნავია პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში მასწავლებელთა მიერ განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები. ისინი აქტიურად ესწრებიან მასწავლებლის სახლის

მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებით.

სკოლაში დასაქმებულია 37 მასწავლებელი, რომელთაგან 1 სპეც. პედაგოგია, 24 – უფროსი, 11 – წამყვანი, 1 მენტორი მასწავლებლის სტატუსის მქონე.

შექმნილია ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო.

ყველა პირობაა იმისათვის, რომ მასწავლებლებმა შეძლონ თვითგანვითარებაზე ზრუნვა და მიღწეული შედეგებისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენება.

სსიპ **ლევან გოთუას** სახელობის ქალაქ რუსთავის მე-17 საჯარო სკოლა მონაწილეობს სამინისტროს მიერ ორგანიზებულ პროექტებში და სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებაში. ფუნქციონირებს იდეების კლუბი, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეებში მეწარმეობის უნარების განვითარებას.

სკოლა მაქსიმალურად ცდილობს მოსწავლეთათვის კომფორტული და უსაფრთხო გარემო შექმნას, აამაღლოს მოსწავლეთა სამოქალაქო თვითშეგნება, დანერგოს კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო და აღკვეთოს მოსწავლეთა შორის ბულინგი; ხელი შეუწყოს მოსწავლეთა და დასაქმებულთა უფლებების დაცვას. სკოლა იყენებს ყველა შესაძლებლობას, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი ინტელექტუალური, სოციალური თუ ფიზიკური პოტენციალი.

**მარიამ ხატიაშვილი–
გურგენიძე**

ლიტერატურული გვერდი - პოეზია

ნატალია ფიფია-სამუშია

დღეს უშენობა მტეხავს

ახლა ჩემი გული ნახეთ
აბობოქრებულ ზღვას ჰგავს,
სადღაც მიაჭენებს მერანს
ვეღარ უმართავ ლაგამს....

აბობოქრებულ ზღვაში
გემმა ჩაუშვა ღუზა...
ვეღარ მოვთოკე ნერვი
დღეს უშენობა მტეხავს.

გულს უშენობა მირევს,
ლამის დამახრჩოს ტალღამ,
ვეღარ ვერევი მითრევს
და აზროვნებას ვკარგავ.

აბობოქრებული ზღვა კი
ჯიუტობს ახრჩობს მერანს
და ამ მერანზე ამხედრებული
მეც ვიძირები ნელა.

სიზმარი

წუხელ დამესიზმრა, ჩემი სამშობლო
ფეხით მოვიარე, თითქმის კუთხე-კუთხე,
ჯერ აფხაზეთი მოვინახულე მერე კი
ოსეთს ჩუმად მივაკითხე.

ცხინვალში მეგობრის სახლ-კარი
ჯაჭვით გადაკრული შევამჩნიე,
რომ გავიხედე მე აქეთ იქით...
არავინ იყო თვალი ვერ შევაჩვიე.

იქედან ისევ აფხაზეთს დავბრუნდი,
ჩემი ეზო-ბაღი თითქმის აღარ იყო,
გზა გავაგრძელე სოხუმისკენ,
იქ არავინ დამხვდა, სიცოცხლე ჩამქრალიყო.

ზღვის სანაპიროს რომ მივაშურე,
იქაც თოლიები სადღაც გამქრალიყო,
ზღვაში ჩადგმულ ამრას ხელით შევეხე,
დაჟანგულიყო უჩვენოდ ჩამქრალიყო.

იქით აპრაში არავინ ჩანდა
სული მეტკინა, ფიქრებში გავიგუდე,
წითელ ხიდამდე რომ ჩამოვედი,
ვეღარ გავძელი და ჩავიმუხლე.

ხელი ავაპყრე ზეცისკენ ჩუმად,
ვხედავდი არ მქონდა გამოსავალი,
იქიდან რაღაც ხმა შემომესმა,
წამოვდექი და უცებ გავმაგრდი.

კელასურისკენ გამოვეშურე,
პლიაჟს გადავხედე, გული შემეკუმშა,
არავინ იყო, არავინ ჩანდა,
პალმებს ჩავეხუტე მე შეწუხებულმა.

მაჭარკის ხიდზე რომ გადავდექი,
მდინარეც დამშრალა, არც ის არ იყო,
თითქოს სიცოცხლეც დამთავრებულა,
უქართველებოდ ტიროდა დიოც.

ჩემს აგუძერას რომ მივადექი,
ეკლესიის წინ გავჩერდი უცებ,
გამოკეტილი დამხვდა ტაძარი,
გულში ვილოცე და უფალს ვუხმე.

გავხედე ბაღებს ციტრუსებისას,
სადღაც გამქრალა ის ტერასებიც,
ტირიფებს ფრთხილად ხელი შევახე,
თავჩაქინდრული იდგნენ ისინიც.

ვეღარ გაუძლო გულმა ამდენ დარდს,
უცებ დავტოვე მე ჩემი კუთხე
და სამეგრელოს რომ მოვაღწიე,
დახმარებისთვის მაღლით ღმერთს ვუხმე.

აბიბინებულ მინდვრებს გავხედე,
ჭრელი კაბები ჩაუცვამთ ხეებს.
მერცხლები ისევ მოფრენილან და
ფაცი-ფუცობით იგებენ ბუდეს.

ახლა იმერეთს გადავინაცვლე,
საფიჩხიას რომ დავადგი ფეხი,
იქიდან გელათს ავირბინე და
იქ მე ვადიდე მაღალი ღმერთი.

მერე კი ისევ უკან დავბრუნდი,
აჭარას ერთი თვალი შევავლე,
გურიისაკენ რომ გავემგზავრე
მე საოცარი რამ დავინახე.

იდგა მწვანეში ჩაფლული მთაზე,
ეს იყო ჩემი სულის სიმშვიდე...
ულამაზესი დედათა მონასტერი
მორწმუნეთათვის სულის სიმტკიცე.

არ დავაყოვნე უცებ შევედი
სანთლები ავანთე, ლოცვას შევუდექი.

ახლა კი ვზივარ და ამას ვნატრობ,
რომ ეს სიზმარი ცხადში ამიხდეს,
ჩემი სამშობლო ერთად გამთლიანებული
უფლის წყალობით, მალე რომ გაბრწყინდეს.

სანთელი დაღვენთილის მჯერა

გრძნობებში დაფერფლილი სიყვარულის მჯერა,
ხმამაღლა უთქმელის, თვალებით ნათქვამის.
თვალების რომელსაც ძალუძს სიმორცხვით...
ფიცი დაგიდოს უთქმელად ნატანჯი.

ღამის წყვდიადში სანთელი დაღვენთილის მჯერა...
სიყვარულისთვის მლოცველი ქალის...
გული ათასჯერ გატეხილის,
მაგრამ ისევ რომ ფეხზე დგას და უშიშრად დადის.

ზუსტად მე ისეთი სიყვარულის მჯერა...
რომელსაც ვერ იტყვი, მაგრამ არსებობს, არის,
გულით რომ ატარებ მე იმ სიყვარულს მჯერა...
უბრად რომ დაგაქვს და არ ერჩის არავის.

გრძნობებში დაფერფლილი სიყვარულის მჯერა....
ხმამაღლა უთქმელის, თვალებით ნათქვამის...
და მე იმ სიყვარულის ნამდვილად მჯერა,
რომელიც არ მთავრდება სულ შენთან რომ არის.

თუ გიყვარს

თუ გიყვარს... ყველაფერს ფერებში ხატავ,
გგონია სამყარო მხოლოდ შენია,
ერთი დღე, როცა ფერები გაქრება...
მიხვდები ყველაფერი რომ ნაცრისფერია.

ისევ დაიწყებ ოცნებით სუნთქვას,
რომ გამოძერწო ლამაზი ფერები
და სიყვარულს კი შენს გულში ნანახს,
ჩუმად ტირილით მოეფერები.

დედამინა

დღეს დედამიწას უჭირს ძალიან
უჭირს ვერ უძლებს კივის და გოდავს....
ერთს არ იტყვიან ღმერთო გვიშველე,
რომ ვაღიარებთ ყველა ჩვენს ცოდვას.

გული ატირდა ამდენი მკვდრებით,
რამდენი კიდევ მიემატება,
რატომ არ ფიქრობ ადამიანო!...
რომ დაიღალა დედა ბუნება.

უსამართლობამ შურმა და ბოღმამ,
ჩვენ დაგვავიწყა მოდგმა და ლოცვა,
თუ კიდევ ისევ არ დავნებდებით,
აქ დამთავრდება კაცობრიობა.

და რომელ მდიდარს, ან რომელ ღარიბს...
დარჩება რამე ამქვეყნიური,
მოვრჩეთ!.. დამთავრდეს ამდენი ომი და
უფალს ვთხოვოთ ყველამ შენდობა.

* * *

ნაირფერებად გადაშლილან ზამბახები, დღეს ჩემს ეზოში,
ალუბლის ყვავილებს გაუშლიათ მათ თავზე სეფა,
ტოტზე ჩამომჯდარ მერცხლის ჭიკჭიკს ყური მოვკარი
და ჩემმა გულმაც სიხარულით დაიწყო ფეთქვა.

იქით გუგული საქსაფონზე, სხარტად უკრავდა,
კოდალა კიდევ ბარაბანზე იყო შემჯდარი,
უცებ გავჩუმდი ყური ვუგდე მათ სიმფონიას,
რომ შეუქმნიათ საზაფხულო მათ დასტაქარი....

ქარი კი არწევს აკაციის ლამაზ ყვავილებს
და გეგონება ანანავებს, ტალღებში ართობს.
ყაყაჩოები თითქოს მათთან ცაზე ასულან
და მათთან ერთად ისე ნაზად ცეკვავენ ტანგოს,

მერე აჩქარდა გაბოროტდა, თითქოსდა ქარი,
შემოაცალა ყაყაჩოებს ტოტები ცივად,
მე კი ვუყურე დიდი ხანი ამ ნაზ არსებას...
ციდან ქარი უმოწყალოდ რა რიგად ყრიდა...

ეს ყველაფერი მე შევადარე დღევანდელს ნამდვილს
ასე არ არის? ცხოვრებაშიც... ახლანდელს ვამბობ...
სულით ძლიერი თუ არა ხარ ამ ქვეყანაზე,
ვერ გაიმარჯვებ, ვერ მოუგებ, ბოროტებს მარტო.

სწორედ ამიტომ სიყვარულით ვიცხოვროთ უფლის...
არ მივატოვოთ ერთმანეთი, ვუგულოთ, ვუძმოთ...
და მე მჯერა, რომ ჩვენ უფალი არ მიგვატოვებს
და არასოდეს არ დავრჩებით ამ ქვეყნად მარტო.

ქიში

უნახავივით მივაჩერდი ამ დილით ზეცას,
დამშეულივით ჩავისუნთქე სუფთა ჰაერი,
ასე მგონია პირველად ვნახე მე მზის ამოსვლა,
რადგანაც წუხელ ჩემი თვალით ვნახე მიწის კნავილი.

ვერ წარმოიდგენთ რა გრძნობაა როცა უყურებ,
ხედავ გეცლება ყველაფერი ფეხზე ვერ დგები,
მარტო თვალს ხუჭავ თითქოს გშველის იმედს არ კარგავ
და შენ გარბიხარ ძილბურანში არც იცი საით.

მე ამიტომაც სულ ვამბობდი და კიდევ ვიტყვი,
ერთი წამია, რომ იცოდეთ, წუთის სოფელი,
ნულარ ვიფიქრებთ ნურაფერზე გარდა იმისა
მშვიდად ვიცხოვროთ და ერთმანეთს ჩავკიდოთ ხელი.

წუთიერია ეს ცხოვრება, წუთიც არ უნდა,
დაფიქრდით, აბა, სწორად ხომ ვთქვი მე ეს ყოველი,
უფალს ვმადლობდეთ; ყოველ დილას, ყოველ საღამოს,
რომ არ გაგვწირა და ამ დილას შევხვდით ცოცხლები.

ისე ლამაზად აჟღურტულდნენ გარეთ ჩიტები,
უფალს მადლობა ვუთხარი და მშვიდად შევჩერდი
და გავიფიქრე, მართლა წუხელ ღმერთი რომ არა,
იქნებ სულაც არ მენახა არც ეს დილა
და არც ეს ლამაზი მე მზის სხივები.

ლიტერატურული გვერდი - პოეზია



ნარგიზ ჯაფარიძე

სამშობლოვ ჩემო

ამ გულს გიბოძებ,
დღე და ღამე შენთვის რომ ფეთქავს,
ამ ჩემს გონებას,
შენს ფესვებად რომ იქცა ტვინი,
მთვარეს გიბოძებ, მზეს გიბოძებ,
ვარსკვლავთა გროვას,
მიწის და ცის კი,
მე, მონა ვარ თვითონვე შენის,
იმ მიწის,
სადაც მე პირველად ავიდგი ფეხი
და რომლის სითბოც,
ფეხის გულებს მე დღესაც მითბობს,
იმ მიწის,

რომლის სურნელებამ გაჟღენთა ცხვირი,
რომ მისგან გასულს,
სხვა სურნელი მე ვერა მეგრძნო
და შენს ლაჟვარდ ცას!
მაგ შენს კუთვნილს, მშვიდსა და ლამაზს,
შენს ალიონებს,
შენებრ ჰაერს ხომ ვერსად შევხვდი,
მე შენ გიბოძებ,
ყოველივეს! სამშობლოვ ჩემო,
შენ კი გახსოვდე!
მე, ოდესღაც წასული შვილი.

განა სამშობლო მარტო სიტყვაა

განა სამშობლო, მარტო სიტყვაა,
იგი დედაა, იგი ზეცაა,
გამალებული გულის ფეთქვაა
მიწა, ჰაერი, დილის მზეცაა,
ისაა რასაც ვერასდროს აღწერ,
რის გარეშედაც არ ღირს ცხოვრება,
სადაც კი წახვალ,
მუდამ რომ თან გსდევს,
ღარიბიც იყო, რომ გაქვს ქონება,
სამშობლო, ეს ის დიდი სიტყვაა,
რვა ასოსაგან შემდგარი მხოლოდ,
ის ფარი, ხმალი, ძალა, წინსვლაა,
ოდითგანვე რომ
ძირს კვეთდა ბოროტს,
სამშობლო, დღესაც ისევ ისაა,
გამოფხიზლება
გვჭირდება მხოლოდ,
სამშობლო, ის ხომ ჩვენი დედაა,
დედა სამშობლო,
ქართველთა მხოლოდ,
მოდით დაძმანო ერთი ერისა!
დედას მივხედოთ,
არვინ დაჩაგროს,
წამოვაყენოთ, არ დავაბეროთ,
მუხლ გავუმაგროთ,
უკვდავ გავხადოთ,
ავამღეროთ და გავახალისოთ,
რომ ჩვენს თაობებს გადავულოცოთ!

როგორ გიხდებოდა, საქართველოვ

როგორ გიხდებოდა, თამარ მეფე,
როგორ გიხდებოდა, გორგასალი,
აღმაშენებელი ჭკუით სავსე,
როგორ გიხდებოდა მაჩაბელი,
როგორ გიხდებოდნენ ის შვილები,
მიწა თვისი სისხლით რომ მოგირწყეს,
იმის იმედით რომ არასოდეს,
აღარ გახმებოდა მთა და ველი.
როგორ გიხდებოდა ტარიელი,
როგორ გიხდებოდა ამირანი,
როგორ გიხდებოდა საქართველოვ,
წმინდა სიყვარული მადლიანი,

როგორ გიხდებოდა შენ, აკაკი,
შოთა, ილია და ტიციანი,
გალაკტიონი და ლებანიძე,
ნიკალას ფუნჯები ნამიანი,
კიდევ რამდენი მათნაირი,
შენ გყავდა შვილები გულ-მდიდარი,
როგორ გიხდებოდა, საქართველოვ,
დედის იავნანის ხმის წკრიალი,
სარწმუნოებისთვის თავდადება,
დაცვა შენი ერის და ფიალის,
როგორ გიხდებოდა, საქართველოვ,
მაგრამ, ნუ ვიტირებ იასავით,
გთხოვ, რომ მომავალიც შეიფერო
ძველს ნუ მოვიგონებ გამალებით,
ნუ ვიტყვი, ახალი არ მინდაო,
აღარ გამიწბილო იმედები,
ისე შეიმოსე, საქართველოვ!
წარსულს, არ ნატრობდეს მომავალი.

21 საუკუნე

უფალმა შექმნა ქვეყანა
და მისი სახის ადამიანი,
არ იყოს მარტო, შეძერწა ევა,
მისი ნეკნისგან შექმნილი მისთვის,
მათ გააწბილეს იმედი მამის
და სამოთხიდან გაძევდნენ მალე,
მომრავლდნენ ქვეყნად, ცოდვებით სავსე,
მათ დაავიწყდათ არსება უფლის,

ასე გავიდა წლები მრავალი,
საუკუნენი მიჰყვნენ ერთმანეთს,
მოვიდა წარღვნა, ადამიანი
კი მაინც ჯერ ვერ მოვიდა გონზე
და მოევლინა ქვეყნად უფლის ძე,
ხალხთა ცოდვების გამოსასყიდად,
ხალხი თავისას აგრძელებს ისევ,
ზოგი მიხვდა და ზოგიც ვერ მიხვდა,
აწამეს ქრისტე და აცვეს ჯვარზე,
ის მამას სთხოვდა ჩვენთვის შენდობას.
განათდა ბევრის გონება,
ბევრთა გულები გათბა,
ხალხმა ისწავლა ცხოვრება,
ღმერთთან, სანთლებთან, ხატთან...

გავიდა წლები მრავალი,
ომიც ვიხილეთ ბევრი,
იბადებოდნენ ვაჟკაცნი,
ქალები დედა ბოძნი,

ბავშვებსა ჰქონდათ ბავშვობა,
ცელქობდნენ ერთმანეთში,
გლეხკაცსა შრომა უყვარდა,
მიწას გადახდა ვალის,
სიღარიბეში ცხოვრობდნენ,
მონებიც იყვნენ სხვისნი,
მტერს თავს არასდროს უხრიდნენ,
არ ყიდნენ ნამუსს სინდისს,
ძალიან ცოტა ჩნდებოდნენ,
მოღალატენნი, ყალბნი.
წლები მისდევდნენ ერთმანეთს,
საუკუნეებს ქმნიდნენ,
თავისუფლები გავხდით და
უფალს ავცილდით ისევ,
რაღა არ შექმნა ამ ქვეყნად
ადამიანის ხელმა,
დეპეშას ვინღა აგზავნის,
წუთში ყოველი ხდება,
ინტერნეტ სფეროს მომგონმა,
უცებ დაიპყრო ყველა,
ეზოში ბავშვებს ვერ ხედავ,
კომპიუტერთან სხედან,
ვის მობილური უჭირავს
და ვის ტაბლეტი ხელში,
აღარც ბავშვობა ახსოვთ და
სული ამოსდით ყელში,
ვინღა თამაშობს თოჯინით,
„ლაკარტკას“ ვინღა ისვრის,
არც კლასობანას თამაშის
ყიჟინი არსად ისმის.

სულ გადაგვარდა ყოველი,
კაცმა ჩაიცვა კაბა,
სასქესო გადაიკეთა და
დაწვა კაცი კაცთან,
ქალები განა ჩამორჩნენ,
აღარ გვინდაო კაცი,
ბუნებამ, ასეთი შეგვქმნა,
და რაა ჩვენი ბრალი,
აღარ უყურებს არავინ,
წლოვანებას და ასაკს,
უფროსებს პატივს არ სცემენ,
ენებით გველებს გვანან,

გადაუგვარდათ გონება,
რწმენა დაკარგეს უფლის,
ზოგი ბუდისტი და ზოგიც,
იაღოველი გახდა,
ღმერთის ცრემლები ღვარღვარით
ცეცხლის წვიმებად მოდის,
ომი, მიწისძვრა, ხანძარი,
გადაშენება მოდგმის.
თუ ვინმეს რამეს ასწავლი,
პასუხს გაგცემენ უცებ:
„რა გიკვირთ ვერ გამიგია,
რომელი დროით ცხოვრობთ?!
ისეთი საუკუნეა,
ვისაც როგორ სურს ცხოვრობს".

ნუ განსჯით ემიგრანტს

თუ ემიგრანტი, გრიმს ისვამს და
პომადას იცხებს,
ან თუ მათ თავზე,
ჭაღარები შეღებილი აქვთ,
თქვენ რა გგონიათ!?
რომ მათ გულებს არ აწევთ დარდი
და ნოსტალგიის,
მწარე ცრემლი არ დასდენიათ?!
ნანატრ კვირა დღეს,
ემიგრანტი თუ რესტორანში,
იქეიფებს და მიეცემა თავდავიწყებას,
თქვენ რა გგონიათ?!
მათ სამშობლო აღარ ტკივათ და
ან დაავიწყდათ,
რომ ოჯახებს რჩენა სჭირდებათ?!
აბა რა გინდათ?!!
ვიტიროთ და ჩავიცვათ შავი?
თუ ჭაღარებით
დამტკიცდება ჩვენი გმირობა?!
რომ გაიძახით!
ჩამოდითო თუ გვენატრება,
რომ ჩამოვიდეთ,
ჩამოსულებს რა გველოდება?!
ყველას არა გვყავს!
ნაცნობები საქართველოში
და არც ფულები
ვაპროცენტეთ გასამდიდრებლად!
მოდით, მოკეტეთ! -
ასე გეტყვით მოურიდებლად,
არავინ ვიცით!
თუ ვის ქვაბში რა იხარშება,
ნუ გამოდგებით
სხვის საქმეში ყველა გმირებად
და ნუ გაისვრით,
ბოროტულად, სიტყვებს, ტყვიებად!!

განკითხვის დღე

ისევ გათენდა დილა,
კვლავ ამოვიდა მზე
და კიდევ ერთი დღე,
დღეს მიემატა წლებს,
მოვა საღამო ისევ,
მზე გადაივლის მთებს,
ასე მიყვება დღე დღეს
უფლის დღის მოსვლამდე,
ისევ ამოვა მზე,
ჩავა ამოვა მთვარე
და ვერც კი ვხვდებით ისე
მოდის განკითხვის დღე.

ჩვენ კიდევ ვიქორწინებთ,
გავაჩენთ ბავშვებს ბევრს,
ვიშრომებთ და ავავსებთ,
ოქროთ და ვერცხლით ქვევრს,
ვცოდავთ ქონების ტრფობით,
ვცოდავთ, არ ვფიქრობთ ჩვენ,
ვცოდავთ და ვფიქრობთ მხოლოდ,
ცხოვრების ვნებებზე,
კიდევ ამოვა მზე,
გაფანტავს სხივებს ბევრს,
ამოვა ისევ მთვარე,
გადააგორებს მზეს,
ყოველდღე კიდევ ერთი,
დღე ემატება წელს,
ასე, თანდათან მოდის,
მეორედ მოსვლის დღე,
მეორედ მოსვლა, წარღვნა,
გვიახლოვდება ჩვენ,
ლოცვის მაგივრად ჩვენ კი,
ვაგრძელებთ ღრეობებს.

კედელთ გოდება

„სდექ, შემომხედე, მომისმინე და მოგიყვები'' —
გზას მიმავალმა, გავიგონე კედელთ გოდება,
მარჯვნიდან მარცხნივ, ჩამონგრეულ ნასახლარ კედლებს,
ხავსი სცვიოდათ მიტოვებულთ მწარე ცრემლებად

და მეც გავჩერდი, შეთრგუნულმა მივაპყარ მზერა,
სულმოუთქმელმა, მოვისმინე მათი წუხილი,...
-,,მხედავ!? მე ერთ დროს წავაგავდი ციხე სიმაგრეს,
სიძე კაცივით შემოსილი, ვიდექ ამაყად,

რამდენი ყმა და დიაცი მყავს ჩემში გაზრდილი,...
ეხლა კი ხედავ!? დამივიწყეს მათმა შვილებმა''.
-,,მეც მომისმინე! არ წახვიდე, მეც მაქვს ტკივილი'' —
მთხოვა მეზობლად, პაწაწინა, ქვებით ნაგებმა,

-„პატარა კი ვარ, მაგრამ, დიდი რამ მაქვს სათქმელი,
არ შეგაშინებ, მოგიყვები ფრთხილად, ფარულად".
ყური დავუგდე, ეს რა მითხრა! დამეწვა გული!
პატარა ქოხში, ქვით ნაგებში, ხდება მკვლელობა,

გაუგონებლად, დაფარულად, რომ არვის ესმის,
მხოლოდ კედლებმა დაიტირეს, ნეშტი ფარულად,
ცრემლმორეული გამოვცილდი ქოხის ნანგრევებს,
რომ მხიარულად, დამიძახა უცებ შემდგომმა,

-„მოდი, მეც გეტყვი, არ იფიქრო მივტირი ჩემს ბედს,
არა, რადგანაც ვარ ნაგები შეყვარებულთა, ისეთი სითბო,
სიყვარულით მე მათ გამჟღინთეს, ხედავ!? შემომრჩა,
დროს გაუძლეს ჩემმა კედლებმა".

შვილმომავალი!? შევეკითხე დაუფიქრებლად,
-„არ გასჩენიათ, არ ინება, ალბათ, განგებამ,
მაგრამ იცოცხლეს სიყვარულით, ღრმა სიბერემდე
და მეც შემომრჩა ეს ყოველი, მოსაგონებლად".

სხვებსაც უნდოდათ საუბარი, მაგრამ გავცილდი
და თან დავპირდი, დავბრუნდები აუცილებლად.
მივყვები ქუჩებს, ქვებით ნაგებ სახლებით სავსეს,
ყურში ჩამესმის, მტკივნეული, მათი გოდება.

რანი ვართ ადამიანნი

რა არის ადამიანი? რად წვალობს მთელი ცხოვრება,
არ უკვირდება აგროვებს გაუჩერებლად ქონებას,
ზოგი იყენებს, შეერგოს! იცის დახარჯვა ქონების,
ზოგი კი აზის კრუხივით და გამოჩეკვას მოელის.

ადამიანთა ნაწილის, თითქმის სამოცი პროცენტი,
დღედაღამ იმისთვის წვალობს პური შეჰქონდეს ოჯახში,
მრავალს ოჯახიც არა აქვს, ეულსა სძინავთ ქუჩაში,
რანი ვართ ადამიანნი?! ამოუცნობი არსება,

ქურდი იპარავს, ჰგონია ვერ დაიჭერენ შერჩება,
მკვლელებს ჰგონიათ არ დაწვავთ, მათ ცეცხლი ჯოჯოხეთისა,
მოღალატეებს, გამყიდვლებს, მეძავთ თუ მაზოხისტებსა,
ხარბებს თუ შურიანებსა, ბოროტებსა და კრიჟნებსა,

პირჯვარს თუ გადაიწერენ და აანთებენ სანთლებსა,
მონანიების გარეშე ჰგონიათ იხსნით მათ ესა,
რანი ვართ ადამიანნი?! ვყლაპავთ ერთმანეთს და ვღეჭავთ,
არ ვუფიქრდებით, ვივიწყებთ, რომ ხვალ მატლები ჩვენ შეგვჭამს.

ლიტერატურული გვერდი - პროზა, პოეზია

ხათუნა დოლიძე

ობლები და შინაბერა

- სად გაქრა შენი სიტურფე, როგორ გაგძარცვეს მტარვალმა წლებმა საბრალო იოლანდა. როგორ წარიტაცეს ლალისფერ ბაგეთა სინორჩე, გიშრისფერ თვალთა სხივოსნება, ტანკენარობა და სინარნარე!

ვაგლახ, რომ მაგ პირისახეს, ოდესღაც, სავსე მთვარის მსგავსს, ახლა, წყალდიდობა გადავლილ, კალაპოტ ნაცვალ მდინარესავით საზღვრები შემორღვევია, ვარდის ფურცლისებრ ნაზი და ფეროვანი, სანთელივით ჩამოღვენთილა და ყველა ავდრიანი დღის ტკივილი, ნაფეხურებად აღუბეჭდავს, ოქროსფრად მოელვარე თმებს, ვერცხლისფერი ურჩხული დაპატრონებია! - თავისთვის ჩურჩულებდა შინაბერა იოლანდა და საკუთარ თავს შეშფოთებული მისჩერებოდა.

თვალებში ცრემლჩამდგარი, სარკის წინ, კარგა ხანს უძრავად იდგა. ვერ დაეჯერებინა, რომ ამ ქალს, რომელიც სარკიდან უმზერდა, რაიმე საერთო ჰქონდა იმ იასავით ნაზ და მომხიბვლელ არსებასთან, რომელსაც ერთ დროს ყველა შესტრფოდა და შეჰნატროდა!

...იოლანდას სოფლის შარაგზაზე გამოჩენისას, შეკრებილ მამაკაცებს მართლაც, არაერთხელ აღმოხდენიათ ოხვრა და გაფართოებულ თვალთაგან, ნდომის ცეცხლი გადმოუფრქვევიათ! სიმორცხვისგან ალმოდებული ყმაწვილი ქალისთვის, ნემსებივით მჩხვლეტელ, დაჟინებულ მზერას, ზურგი არაერთხელ აუწვავს!

უღიმღამო, ერთფეროვან დღეთა ქროლვაში, ახალგაზრდობა თვალსა და ხელს შუა გაუქრა! ახლა, იოლანდა სარეცელს, მტანჯველ მარტოობას უზიარებდა. უძილო ღამეებს, სახლის კუთხეებში ჩაბუდებულ შიშის აჩრდილთან ერთად ათენებდა... სანამ დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა, არაფერზე ეფიქრებოდა - ყველა მთხოვნელს უარით ისტუმრებდა, გულის კარებს, რკინის ურდულით რაზავდა და თავის ტოლ-სწორად არავის მიიჩნევდა. საკუთარი სიწარმტაცით თავბრუდახვეულს, არც კი უფიქრია, რომ ერთხელაც, სიბერის აჩრდილი მასაც ეწვეოდა. თუმცაღა, ულმობელ დროს, სინორჩე და მომხიბვლელობა ვისთვის შეურჩენია?!

...დედისერთა, ნებიერად გაზრდილი იოლანდა, წლების წინ დაშვებულ შეცდომას, გვიან მიხვდა. მხოლოდ მაშინ, როცა სიტურფე სრულიად შემოეძარცვა, მისი ნდომის სურვილი აღარავის შემორჩა. როცა მარტოობიის ტვირთი, სატანჯველ გოლგოთად ექცა!

- რად შფოთავ, იოლანდა?! აგერ, მართას ქმარიცა ჰყავს და შვილებიც, მაგრამ ქალური ბედნიერება როდი ღირსებია?! - უსიყვარულოდ გათხოვილმა, ახალგაზრდობა ლოთსა და ავყია გაბოს შეალია... თუნდაც, ბაბალე გაიხსენე: განა, მის გაჭირვებულ ყოფას, შინაბერობა არა სჯობდა? მაშ, თუ ეგრეა, მართასთან სტუმრად მისულს მუდამ მოქუფრული სახე რად გინათდება, გული რად გაზაფხულობს მისი სამი ბალღი ტკბილი ტიტინით რომ შემოგეხვევა?! მათი შემყურე, შენც მაშინვე ბავშვად გადაიქცევი. ყველა წუხილი გავიწყდება, მათთან ერთად ცელქობ...

აღარც მტკივან წელსა და სახსრებს იხსენებ და ციბრუტივით ტრიალებ! რა იქნებოდა, შენც გყოლოდა სიბერის ნუგეში - ცხოვრების აზრისა და სიხარულის მიმცემი?! -საყვედურობდა საკუთარ თავს ძილგატეხილი იოლანდა.

გარეთ ზამთრის გრძელ ღამეს ყორნისფრთისფერი ნაბადი გაეფინა და ფანჯრებთან ჩამომჯდარი, შინაბერას გულის დარდს, ბალღამს წვეთ-წვეთად უმატებდა. ეზოში ძაღლები შემზარავად მოსთქვამდნენ თითქოსდა, შემაძრწუნებელი ყმუილით, სიკვდილის აჩრდილს აფრთხობდნენ.

- ღმერთო, მშვიდობა მოგვმადლე, მრავალგზის ნაცადია - მათი ყმუილი უბრალოდ არ გადაივლის. საბრალო პისტი უკანასკნელ დღეებს ითვლის. უფალო, უსაშველე და შეიბრალე!

- შიშმა შეიპყრო იოლანდა. ფიქრებში გართულს, როგორც იქნა, ჩაეძინა. გამთენიისას, საოცარი სიზმარი ნახა. გულზე ჩვილი ჰყავდა მიკრული და ძუძუს აწოვებდა. დედასავით ლამაზი იყო ახალშობილი - ოქროსკულულა, გიშრისთვალა. რა ბედნიერი იყო იოლანდა, უსაზღვროდ ბედნიერი. სიზმარში ცხადად გრძნობდა იმ ენით აუწერელ სინაზეს და ნეტარებას, რაც დედობას ახლავს! ტკბილ ზმანებებთან მოფარფატე, უეცრად, განმგმირავმა კივილმა გააღვიძა. გულგახეთქილი სასწრაფოდ გამოფხიზლდა და ანგარიშმიუცემლად გარეთ გავარდა. - ღმერთო ჩემო, უთუოდ საბრალო პისტი გაფრინდა უფალთან! - ავიშვიშდა შინაბერა.

- იოლანდა, იოლანდა, ჩქარა გადმოდი, ქალო, ეს რა დაგვემართა, ცის ჩამოქცევას უფრო ვიფიქრებდი, ვიდრე, ლილეს სიკვდილს! - თავში ხელებს იშენდა მართა. ...ქვრივი ლილეს სახლში, მალე მთელი სოფელი შეიკრიბა. ობლად დარჩენილი ტყუპები, დედის საწოლთან ჩამომჯდარიყვნენ და გულსაკლავად ღრიალებდნენ.

- დაილოცოს, უფალო, შენი განგება, პისტი იყო მომაკვდავი, შენ კი სრულიად ჯანმრთელი ლილე წაიყვანე, რა ეშველებათ უდედმამოდ დარჩენილებს, ვინ დააპურებს და შეიფარებს საბრალო ობლებს?! - იცრემლებოდა ბაბალე.

- ტყუპებს მე მივხედავ, მე ვიზრუნებ მათზე! შეკრებილი მეზობლები, წამიერად გაირინდნენ. ყველა გაოცებული შეაჩერდა იოლანდას, რომელსაც ტყუპები გულში ჩაეკრა და ცრემლიან პირისახეს უკოცნიდა.

სამყაროს საწყისი

იზოლდა ჭიპაშვილი

გადის დღეები, გადის თვეები,
სეზონი სეზონს მიჰყვება, მარდობს.
შემომასკდება ფიქრის ლაშქარი
და მონატრების ცრემლებად მადნობს.

ყველა სეზონი შენს თავს მაგონებს,
ვერ დავუზავდი, გაბუტული ვარ,
შემოვუწყერი ზამთარ-გაზაფხულს
და თვით ზაფხულის უენო ტყვე ვარ.

ყველგან შენ გეძებ, ყველგან შენ გნატრობ,
ყველგან თან დამსდევს შენი სახება,
ამქვეყნიური საზღვრების მიღმა
შენთან ერთობა დამესახება.

ეჰ, როდის მოვალ, ეჰ, როდის მოვალ?
წყლის პირას უწყლოდ ვდგავარ ქორბუდა,
რძიან ბალახში ვწევარ მშიერი,
შვილის სურვილი უხმოდ მომგუდავს.

ისევ ფიქრებში, უხმო ფიქრებში...
შემომაფხიზლებს ჩიტი ნარჩიტა
და ტოროლების შემოძახილში
მაინც ჩამესმის: „ნეტავ რა მინდა?"

პასუხი იცის ყველა სულდგმულმა,
პასუხი ერთი და უტყუარი,
დიდი სამყაროს დიდი საწყისი
მხოლოდ შვილი და შვილი რომ არის!

ზღვრის გადაღმა

თუ შემპირდები, რომ შევხვდებით ზღვრების გადაღმა,
უსასრულობა რომ მიარღვევს ჯიუტად ფერებს,
სადაც ცის თაღი სიღრმეებში ფსკერებს მოსინჯავს
და ხმა ნაცნობი ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოიტანს ბგერებს.

სადაც მტრედები ნება-ნება დაგოგმანებენ
და ბაგე ტკბილი შროშანებით რთავენ ბუდეებს,
სადაც ნეტარებს უშფოთველი მარადისობა,
ვერ აღიქვამენ დაბრკოლებებს, საზღვრებს, ზღუდეებს.

იქნებ და შევძლო, მოვიხერხო ზღაპრად ცხოვრება,
გარდავისახო ნახატ ფილმის უცნობ პერსონად
და ჩემეული, ამღვრეული ფიქრების მიღმა,
ბადე გავშალო და ოქროს თევზს მივცე ოცნება.

იქნებ დევკაციც დამემგზავროს ეკლიან გზებზე,
ხელი მომკიდოს და კლდეებზეც ერთად ავცოცდეთ,
ერთად დავლაშქროთ ჯადოსნური წყაროს სათავე
და ნატვრისთვალის ელვარებით ერთად გავოცდეთ.

ხომ კარგად უწყი, ჩემო პირმშო, რას ვინატრებდი,
ჩემი ლექსები ერთი დარდით გამიჟღენთია,
თუ ახდენილა ზღაპრად თქმული ერთი ოცნება,
იქნებ და ესეც ამისრულდეს, რაც მინატრია?!

წერილი ბედისწერას

(მინდა, ჩემივე ხმა ექომ ფაროს...)

თამთა მუმლაძე

ასგზის „ჩავიკითხე" სხაპასხუპით,
ხოდა ბოლო გზავნილს, მეგობარო,
ველარ ვუპასუხე - საპასუხო!

გავხდი ,,ნაწერების" მომკელი,- მით
მკლავდა თითო ფრაზის ავი კუთხე
და მეც სერიული „მომკვლელივით",
ალბათ მეათასედ „ჩავიკითხე"!

იქნებ, მოგიბირო, ო, ნებით და
(გარეთ თებერვლის თვის ეზო დნება...)
ჩემს წინ, თაბახები, გონებიდან
აზრებს გვამებივით ეზიდება...-

სხეულს გზა აცვია და სულს-ლეში...
(ჩემის, ვისი ითმენს, გარდა, მაგდენს...)
ასგზის, მარად ღია სასულეში,
წერამ, კვამლივით მეც გადამაგდე

და ამოხველებით გულს იწყალებ,
როგორც შეწირული საბატკანე!
ასეთ ცოდვილიანს თუ იწყალებ,-
„ილი, ილი! ლიმა საბაქთანი?"*...

დამრჩა უღიმილო, იარაღად.
ყრია მოწყვეტილი იმედები...
თუმცა, ბედისწერა კიარა და
ზოგჯერ მოძღვრებიც კი გვიმეტებენ.

არა - სევდის გემებს! არა - ტივებს!
უდანაშაულო დამნაშავის,
მთრგუნავს ეს პოზა და ნარატივებს
ვებრძვი უგულოდ და დამაშვრალი.

მიდი, ხელი მხარზე ,,მომაბჯინე"-
(ჩემით-
მოვიშორე მოლიბრები...)
ახლა ისევ ვდგავარ მოაჯირზე,
როგორც უშიშარი კოლიბრები!

ალბათ იქირქილებ - მე რომ არო...
ისევ შეჩერდები, ოი, ნებით...
ხოდა, შენ ტლანქი ხარ, მეგობარო,
შენი გამაძღარი ოინებით!

(მინდა, ჩემივე ხმა ექომ ფაროს...)

*„ილი, ილი! ლიმა საბაქთანი?" - „ღმერთო ჩემო, რასათვის დამიტევებ მე?"ებრ.

* * *

დავდივარ ქორ—მართალში აზელილი,
(არცერთი წყენა არ ამშორდეს!)
შეხედე!—იცინისო, გარეწარი!
ვითომ მეტი საქმე არცა ჰქონდეს...

არღვეულ ქვაფენილებს დავემსგავსე,
ვიმატებ ალაგ—ალაგ ღორღს და ,,გუდრონს",
ამბები ალერგიად დავიმსგავსე,
ვერ მოვრჩი ცრემლს მოყოლილ წვინტლს და
სურდოს...

ზეპირი, უფილტრო სახეები,
ენა რომ ჩახსნიათ გონებასთან,
ერთნაირ სახეებს იწონებენ,
მოკვდავნი რას გავხდებით წოდებასთან?!

გიცნობენ, მიცნობენ და უფრო, მაინც,
ვიღაცის მოწონებულს იწონებენ.
ათასჯერ გულწრფელად რომ გაუღიმო,
ერთხელ მუღუშულსაც გიოცებენ...

ოჰ, უჰ, რა უჟმური ყოფილაო?!—
რას წერს, რას ამბობს ან, როგორ დადის?
აგერ, გაგანია მზე ანათებს,
მაგას რომ ჰკითხოო, გეტყვის:—ბარდნის!

უი, გიჟიც არის, საწყალიო?
ხოდა, გიცოდებენ — ,,ზეპირები!"
წამო, შევეშვათ და მივირთვათო
ჩვენი საყვარელი ,,ზეფირები"...

მიდიან, ტკბილს ჭამენ და ზედაც მწარე
„სიმართლეები" აქვთ მიწყობილი,
ყველაზე გულწრფელი და არღვეული,
მგონი ჩვენ ორნი ვართ დარჩენილი,

ძალად ჩაკერებულ—აწყობილი,
ასჯერ დადუღებულ—ჩაფენილი,
მწველი წნელებისგან დაჩელტილი,
მე და მრავლის მთქმელი ქვაფენილი!

უქოლგოდ დავაბიჯებ ქვაფენილზე,
(არცერთი შოლტი არ ამშორდეს!)
იქნება შვების წვიმა მომევლინოს,
იქნება ტკივილები გადამშორდეს...

ჩემი გული

ჩემი გული — დარბაზები ფართო,
მაღალ ჭერზე მოჩახჩახე ჭაღები,
განა მიწურ-ბანიანი ერდო,
შემოგხვდებათ ნოხთა იალაღები...

სინამდვილე, დამალული არც რა
(არ მიცნობ და, ჰა, სიტყვაზე მენდე),
საკუჭნაო, ფანჩატური არც მაქვს,
მაქვს ალალად შელესილი თაღები...

დარბაზები, დარბაზები, შინდისფრად
მნათობები, ვით ნახარში ენდრო,
სისხლი მიდუღს ჩემი გულის მარანში,
სადღეგრძელო ვერ მოგარგე, ჰე, დრო(ვ)!

ეთო მეფარიშვილი

თუნდ დავლოცო, ვინც არ მლოცავს, ღადარი
არ მინელდა, მიკვირს უხმო სიმართლე,
ხომ ამდენი სიბნელეა და მაინც,
გულ—დარბაზებს ვერ უჩრდილეს სინათლე!

ჩემი გული—დარბაზები ფართო!
განა მიწურ—ბანიანი ჭერები,
კარის ზღურბლთან ჯამბაზები მართობს,
ვერ მსტუმრობენ, თვალს სჭრით ჩემი ფერები!

იყო დრო...

ვიდარდე, ვიტირე, ვიჩხუბე,
ვანთხიე ბრაზი...
თვალთაგან მდინარი ორი ღარი
ყელთან შეერთდა,
გავცვითე დღეები
ქარის წისქვილებთან ბრძოლით,
ერთ დღესაც მივხვდი, რომ
ყველაფერი გამისულერთდა!

და მერე ...

სულიდან ამოტუმბულ სევდის გროვას,
თვალებმა გაუხსნა სადინარი,
ყველა წაგებულ პარტიაზე,
მივიღე ცხოვრების სამძიმარი,
მერე სხეულიდან გადავცალე
გზა—გზად აკინძული სატკივარი,
დღეიდან ძველი დროის აღარცერთი
არ განიხილება საჩივარი.
სული გადავტვირთე!!!
ვიწრო საკნის,
გახვალთ, გაქცეული პატიმარი.

ჰოდა...

წერტილდასმული ამბებისგან
დავგრიხე ძაფი,
მდარე გულისთქმებს
თავი ყულფში გავაყოფინე,
სახრჩობელაზე გამოვკიდე
გრძნობები თალხი,
გულის ნუგეშად რაც ვერ ვცანი,
ვერ ვიმყოფინე...

ახლა კი...

სევდის ფენები ავაცალე
სულის ცხაურას,
გავფილტრე გული, გონება და
სულ მთლად აურა,
ახლა თავიდან, ტურისტული
სულისკვეთებით,
ვიოცებ ნაკვთებს, ფერად ირისს,
თვალის ბადურას...

დღეს ახლად შექმნილს...

მაცვია უცვეთი ქალამანი,
მათრახს ვინ შემკადრებს?!
მაგრამ ნალი,
თუ ფეხზე ამძვრება, დავიტოვებ,
თილისმად დამამშვენებს...
დარდ-ვარამი?!
რა მოსატანია? - დავიღალე!
მათრობს იმედების ქარავანი...
ცხოვრებას გავიკაფავთ
ბილიკ-ბილიკ,
მე და ჩემი რკინის ქალამანი!

* * *

ქალაქში ოცნებებს ეთხრებათ თვალები
და მერე ხელჯოხის ცეცებით დადიან,
ნუგეშებ დაცლილი უხეში ქარები,
ტუჩებთან ნამალევ ღიმილებს გვაცლიან...

დავმძიმდი....
სულს ვიხდი,
სულ ვიხდი, უფალო!..
ვიდრემდის ცინიზმით გამჟღენთენ, ამცრიან.
გამოცლილ, ნასულარ ხორცს მზეზე გადავფენ,
დაკორტნეთ, სვავიან—ქალიან—კაციან...

უხილავ სულს ქარის ლაბადას მოვაცმევ,
გზადაგზა წვიმები, სეტყვებიც დამცდიან...
თუ რამე დაგრჩებათ, თუ რამე მოგრჩებათ,
მას შემდეგ ,,უძღები შვილივით" დავძებნი

სხეულს და ვერცერთი ტკივილი ვერ მომკლავს,
გვემამდე მოვასწრე, ხორცისგან გავძევდი...
ჰო, ახლა სულერთი იქნება, თუ მაინც,
ქალაქში ოცნებებს ეთხრებათ თვალები...

დროდადრო სულს მზეზე უჩუმრად გადავფენ,
დროდადრო მკურნალად მექცევა ქარები...

ვდუნდები...
სულს ვიცმევ,
სულს ვიცმევ, უფალო!

თქვენ ეს სატყუარა სხეული აცერით
ცინიზმით, ღალატით, ხელის კვრა—დაცემით....
მაგრამ, სულს ვუშველე, ვუშველე გაქცევით...
ვბრუნდები!..

ლიტერატურული გვერდი - პოეზია



ზაირა ფრუიძე

ჩვენი ეზო

მესიზმრება ჩვენი მწვანე ეზო,
გულზე დარდი დამემატა კიდევ,
ჩვენი სახლის მიხურული კარი
და ლოდინში მოწყენილი კიბე.

ნუ დაუშვებ, ღმერთო, ნურვის სახლი,
ნასახლარად გადაიქცეს ოდეს,
ღმერთო, რწმენას ნუ წამართმევ, მჯერა,
ავდარს რომ სულ თან დარები მოსდევს.

მჯერა, მალე გადაიღებს წვიმა,
დამეხსნება თუ ტკივილი მიტევს,
გულო ჩემო, მოთმინება გმართებს,
გულო ჩემო, რამდენ ტკივილს იტევ.

აწმყო მალე ჩაბარდება წარსულს,
ხვალ ცხოვრება გაგრძელდება ახლით,
გავბევრდებით, ვერ დაგვიტევს მერე,
მამაჩვენის ნაშენები სახლი.

იყვავილებს ჩვენი ეზო მუდამ,
მოინონებს თავს მაისის ვარდი,
და სიყვარულს გავუმაგროთ ფესვი,
იმ სიყვარულს, ჩვენ რომ ერთად ვრგავდით....

ხათუნა მითაგვარია

მასწავლებელი – ლეგენდა

მასწავლებელი იყო ღვთაება,
მე მათ წინაშე, მუდამ ქედს ვიხრი,
მასწავლებლობა სულიდან მოდის,
ათასი ბავშვი რომ ჰყავთ აღზრდილი,

მასწავლებელი, როგორ გგონიათ?
ის დედასავით არის დაღლილი,
ის მუდამ ბავშვებს თავს დასტრიალებს,
სკოლაც ოჯახი არის ნამდვილი.

სკოლიდან ვითხოვთ მუდამ პასუხებს,
მასწავლებლები ამ დროს სად არის,
თუმც სამწუხაროდ, არავის ახსოვს,
რომ უფლებები, იმათ წავართვით.

თუ კი მოსწავლეს შენიშვნა მისცეს,
აქ პედაგოგებს, სათქმელს არ აცლით,
ბავშვის უფლებებს ვერ აბიჯებენ,
სკოლის კედლებში ვინ რას არ ჩადის.

თუ ტრაგედია დატრიალდება,
პასუხს მოვითხოვთ, მშობლები სად ვიყავით,
ამ უსამართლო კანონებს მიღმა,
ჩვენი შვილებით, ჩვენვე გავმწარდით.

იქნებ მიეცეს უფლება სკოლას,
მათზე კონტროლი, რატომ წაართვით?
თქვენ, პატივცემულ მშობლებს მოგმართავთ,
მუდამ სკოლასთან, ნუ გაქვთ განგაში.

სკოლის ასაკი სკოლამ გაათბო,
სკოლაში მეორე დედას ჩაბარდი,
მასწავლებელიც აღმზრდელ დედას გავს,
ყური დაუგდეთ, სწორ გზას გასწავლით.

ნუღარ ამართლებთ ბავშვებს ხმამაღლა,
პედაგოგებო, ცოტა გამკაცრდით,
მასწავლებელი იყო ლეგენდა,
მათ მოწიწებით, თავსაც უკრავდით.

წინათ, სკოლაში არავის ჩეხდნენ,
ყველა მოსწავლე ბავშვებსა ვგავდით...

რამაზ ჩხიკვაძე

დღევანდელობა

მძიმე დროება დაემკვიდრა საქართველოში
საზღვრებს გავიდა დარჩენილთა უფრო მეტწილი,
ლუკმა პურისთვის, მისტიური მოგზაურივით
გახდა ქართველი ნადირივით გადახვეწილი...

გაყოფილია პოლუსების გადაწვდენაზე
ადამიანთა აზრი,ფიქრი,გრძნობა საზღვარი,
აღარას ვამბობ ერთმანეთის ნდობა რწმენაზე
დიდი ხანია მსგავსი განცდა ,აღარსად არის!!!

არა პატრონი მამულისთვის,გულით ქართულით
რისხვის ზარების აღარ დარჩა კაცი დამცემი,
დღეს საქართველო უკანასკნელ კახპას მიაგავს,
რომ აღარ დარდობს ,რას იტყვიან მასზე კაცები...

გაყოფილია დედის გული, შვილის ნატვრაში
სასოწარკვეთით მონატრება, გულს რომ ჩაკვლია
აღარც კი ძალუძს გრძნობა ჩადოს გამოხატვაში,
თვალები ცრემლით და ტკივილით შემოფარგვლია.

რა დაასრულებს ამ ტკივილს და ვეჭვობ არ ვიცი,
ალბათ ისევ დრო, დრომ გვაქცია ზურგი ამჯერად,
სანამ არაგვაქვს სურვილი და რწმენა თავისი ,
სანამ სხვის დოვლათს ეწირება ჩვენი მარჯვენა...

ნინო როსტიაშვილი

არა? ქართველნო?!

ანი, თბილისო და
ჰოე, საქართველო,
სულ მინდა გეფერო,
შენ ჩემო, ბებერო,
ახლა სიზმარში ვარ,
ტივით მივსეირნობ,
მტკვრის ნაპირით მივუყვები,
საქართველოს.

მესხეთიდან ვიწყებ, ფიქრში შენით ტკბობას,
რა გზით მოდიოდა, ნეტავ, ნინო წმინდა?!
ცაა მოღუშული და ბუნდოვნად მოსჩანს,
ეხ, გრიგოლ,
ტაო
უღმერთოდ ჩამოშლილა.

ჯავახეთს, ციხე მზეობს, მძლეობს რაბათი,
ბორჯომს,
პეტრე; პავლე;
მდგარი ათინათი.
ცხისისს მოფენილან, ბაბუაწვერები,
გორთან, უკვეთიათ კლდეში უფლისციხე.
(მურმან აყვავდნენ ყაყაჩოები)

კვლავ მოსდებია სარკინეთს გვირილები,
სამთვეს უთელია უღვთოდ, ავგიორგის.
ბაგრატ, მოგვაყარე ჭიდან ორაგული,
კვლავაც გააკვირვე მტერი,
ალყად მდგარი.

(აქ მამის ნაამბობი მახსენდება)...

ძეგვი დაუცლიათ ოდესღაც მტარვალებს,
როცა ჩაუვლიათ შუკებში ჯალათებს,
მეთაურს უკითხავს: რა შრიალიაო?
ჯარისკაცს უთქვია:
ძე გვისო, ალაგებს.

მცხეთას, მოკვეთილი მკლავი ამტკივდება,
იარებს მიამებს, კვლავ სვეტიცხოველი,
აქ, ჯვრით შემოსულა, ოდეს, წმინდა ნინო,
მადლი უფრქვევია, შენთვის საქართველო.

თბილისს მოვადექი,
ძილში დაცვარული,
ჩემი ოცნებების ტივით შენაცური,
რიყეს მეგებება:
მეტეხი, სიონი,
ირიჟრაჟა კიდეც, დამთავრდა სიზმარი.

პ.ს
რა წარმტაცი არის ჩემი საქართველო,
მაგრამ ვარდობის თვეს უფრო წარმტაცდები,
ყველა კუთხე მიყვარს, ჩემო საფიცარო,
წამლად მეფინები,
გულზე საქართველო!!!

სიტყვა ვერ ვიპოვე შენი შესადარი,
მიხარია დარი, მტკივა მე ავდარი,
ღმერთმა არა ჰქნასო, კიდევ ავდარიო,
შენთვის თავს გავწირავთ,
ქუდზე ქართველნიო!!!

თინა სტეფლიანი

გული ატკინეს

ქარი ქრის და ბობოქრობს,
სულში სევდა ილვრება,
რა იქნება ბუნებავ,
შეწყდეს ეს ცრუ ჩვენება...

ალბათ, გული ატკინეს,
უმოწყალო ქცევებით...
შურს იძიებს ადამზე..
ევას და მის შვილებზე...

ნუ გვაშინებ სამყაროვ,
ნუ იქცევი ბალღივით..
ხან მიწისძვრით დაგვზაფრავ,
ცინიკურად დაგვცინი...

ნუთუ ასე იცვლება,
ყოველ წუთში ამინდი,
ერთ წუთში თუ მზე არის,
მეორე წუთს იწვიმებს.

გადაგვარდა სამყარო,
შეიშალა ბუნებაც,
ღმერთო, შენ თუ ინებებ...
სხვა ვერავინ გვიშველის...

მტკივა სამშობლო

მტკივა სამშობლო, ვერაფერს ვშველი...
გული აივსო დარდებით...
სევდის მორევში გადამისროლა,
ნეტავ, სადა გვყავს მაშველი!??

სულში გვაფურთხებს დღევანდელ დღესაც
დაგვენთო სიმბოლოდ სანთელი...
ვაი, რა მწარეა ეს რეალობა,
მართლა არა გვაქვს საშველი...

თვალი გაუსწორეთ, ჩვენს ტკივილს,
ჩვენს წუხილს, რამ დაგიბრმავათ, თვალები??!
ჩახედეთ თქვენს გულებს და გაიაზრეთ...
მოინანიეთ ან დაგვეხსენით....

* * *

ერთი კითხვა მებადება მუდმივად...
რატომ არის ეგრე მარჯვედ,
სატანები მართულნნი!??
ვინღა გვიწყვიტავს ჩვენი ქვეყნის, ავ-კარგობას,
ან, რატომ არ ვართ ეროვნულნი???
მუდმივად რად ვბაძავთ ქვეყნებს, შანსიანს...
ამერიკას, ხან ევროპას, ხან რუსეთის... კომპარტიას...
ვიყოთ საქართველოს მსგავსნი...
ქართველები, ჭკვიანები,ზვიადები,
ამაყები და მარდები, ადრიდან...
არ მივბაძოთ, ჩვენთვის ვიყოთ,
მაგრათ ვიყოთ, არავინ არ გვარგია...

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N5 (4604)
15 ივნისი / 2022 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან
ISSN 1987-9113